CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი 19 ივნისი, 2009 წელი. №136 (2174)
ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ეუთო-ს მისია - უკვე წარსულში
A2



ბრიტანეთში პარლამენტართა ხარჯები გამოაქვეყნეს
A7



დღეს ოპერისა და ბალეტის თეატრში...
A11



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# სემნები პასუხისმგებლობას ითხოვს

ვერიკო თევზაძე

*ჩვენ ძალადობას პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ვერ მივიღებთ! - სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელი პიტერ სემნები საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას მეტი პასუხისმგებლობისა და ურთიერთპატივისცემისკენ მოუწოდებს.*

გუშინ ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა და არასაპარლამენტო ოპოზიცის ლიდერებმა - ნინო ბურჯანაძემ, სალომე ზურაბიშვილმა და კახა კუკავამ საქართველოში ბოლო დღეებში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესების, მათ შორის, 15 ივნისს პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის შესახებ ისაუბრეს. ოპოზიციამ ევროკავშირის წარმომადგენელს ინციდენტის ამსახველი ვიდეომასლა გადასცა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მხარეებმა კომენტარები გააკეთეს. როგორც სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, სემნები ყოველთვის დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს. თავად ზურაბიშვილიც მზად არის დიალოგისთვის - საქართველოს გზის ლიდერი ეხმიანება და იღებს პრეზიდენტ სააკაშვილის შეთავაზებას მინისტრის მოადგილეების პოსტებზე ოპოზიციის წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტს ირჩევს.

გაგრძელება A2 გვერდზე



# საიდუმლო წერილი ნეჯადის წინააღმდეგ

მარიკა იაშვილი

თეირანის ქუჩებში ოპოზიციის წევრები იმ კონფიდენციალური წერილის ფოტოასლებს ავრცელებენ, რომელიც ადასტურებს, რომ 12 ივნისის საპრეზიდნეტო არჩევნებზე გამარჯვება არა ქვეყნის მოქმედმა ლიდერმა, არამედ მისმა მეტოქემ მირ ჰოსეინ მუსავიმ მოიპოვა.

13 ივნისს დაწერილ წერილში, რომელსაც ირანის შინაგან საქმეთა მინისტრი სედექ მაჰსული აწერს ხელს და ქვეყნის უმაღლეს ლიდერ აიათოლა ალი ჰამენეისთვის არის განკუთვნილი, ნათქვამია, რომ ხმათა უმრავლესობა არა აჰმადინეჯადმა, არამედ მუსავიმ მოიპოვა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ირანში წერილის გაყალბება ისეთივე მაღალ დონეზეა შესაძლებელი, როგორც დასავლეთში და ამიტომ გავრცელებული დოკუმენტის ნამდვილობა სერიოზულ ეჭვს იწვევს.

ოფიციალური მონაცემებით, აჰმადინეჯადმა არჩევნებზე 24 მილიონზე მეტი ხმა მოიპოვა, მუსავის კი მხოლოდ 13 მილიონმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი. მაჰსულის წერილში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით კი, მუსავიმ 19 075 623 ხმა მიიღო, მეჯლისის ყოფილმა სპიკერმა მეჰდი ქარუბიმ - 13 387 104, ხოლო აჰმადინეჯადის პოსტზე დარჩენა მხოლოდ 5 698 417 ირანელმა ისურვა.

გაგრძელება A8 გვერდზე

# ოპოზიცია ლუკაშენკოს უპირისპირდება

## პრეზიდენტმა ქვეყანა სისტემურ კრიზისამდე" მიიყვანა

მარიკა იაშვილი

ბელარუსის ოპოზიციის ლიდერები კვლავ აცხადებენ, რომ მზად არიან, პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით გამოვიდნენ. კონსოლიდაციის პროცესი უკვე დაიწყო და მომავალი წლისთვის, საპრეზიდენტო არჩევნებამდე დასრულდება, - განაცხადა ალექსანდრ კოზულინმა, რომელიც პრეზიდენტის პოსტისთვის ერთხელ უკვე იბრძოდა 2006 წელს, რის შემდეგაც ციხეში აღმოჩნდა.

**დღეს ჩვენთან ყველა სფეროში სისტემური კრიზისია, რომელსაც გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო ამწვავებს. ხელისუფლება კი ამ დროს ამტკიცებს, რომ არ შეუძლია, ეფექტურად აღუდგეს წინ ამ ფაქტორებს... ამიტომ ჩვენ ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ახლა ხელისუფლებას გადადგომისთვის ბუნებრივი მიზეზები აქვს,"**

გაგრძელება A8 გვერდზე

CMYK - 1

## საკონსტიტუციო კომისიაში დიმიტრი ლორთქიფანიძეც შევა

საკონსტიტუციო კომისიაში პოლიტიკური გაერთიანების "ჩვენ თვითონ" რიგებიდან

დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე იქნება წარმოდგენილი. ამის შესახებ პარტიის ლიდერმა პაატა დავითაიამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. "დიმიტრი ლორთქიფანიძეს, როგორც იურისტს, ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს," - აღნიშნა დავითაიამ, რომლის შეფასებითაც, საკონსტიტუციო ცვლილებაზე მომუშავე კომისიაში ყოფნა რთული და საპასუხისმგებო საქმეა. კომისია ოფიციალურად თვის ბოლომდე შეიქმნება. ის, დაახლოებით, 70-კაციანი შემადგენლობით ჩამოყალიბდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## გია მაისაშვილმა ექსპერტებს ქართული სახელმწიფოს განვითარების საკუთარი ხედვა წარუდგინა

თავისუფალი აზრის სახლში "მომავლის პარტიის" ლიდერმა გია მაისაშვილმა ექსპერტებს ქართული სახელმწიფოს განვითარების საკუთარი ხედვა წარუდგინა.

მაისაშვილმა ისაუბრა ქვეყანაში შექმნილ კრიზისზე, გამომწვევ მიზეზებსა და კრიზისიდან გამოსვლის გზებზე. გია მაისაშვილი აცხადებს, რომ კრიზისიდან გამოსასვლელად საჭიროა, შეიქმნას ეროვნული თანხმობის მთავრობა, რომელშიც ოპოზიციის და საზოგადოების წარმომადგენლები შევლენ. მაისაშვილმა ასევე წარადგინა საკუთარი კონკრეტული გეგმები ეკონომიკური განვითარების საკითხებისა და მთავრობის მოწყობის შესახებ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ლაშა ჟვანია და ჯონ ტეფტი აშშ-ს მშვიდობის კორპუსის წევრებს შეხვდნენ

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია და აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი აშშ-ს მშვიდობის კორპუსის წევრებს შეხვდნენ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი საქართველოში აშშ-ს მშვიდობის კორპუსის მუშაობის განახლებას მიესალება და აღნიშნავს, რომ მათი სამუშაო ძალიან მნიშვნელოვანია. "ეს ხელს შეუწყობს საქართველოსა და აშშ-ს ხალხების დაახლოებას და არსებული პრობლემების აღმოფხვრას. 2001 წლიდან სხვადასხვა სფეროს მუშაკები ჩამოდიოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას ორი წლის განმავლობაში თავიანთ გამოცდილებებს უზიარებდნენ, ბიზნესსფეროს წარმომადგენლები კი საქართველოში პირველად ჩამოდიან. მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის პრაქტიკული დახმარება ძალიან გვჭირდება, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესსფეროს 10-კაციანი ჯგუფი ორი წლის განმავლობაში ყოველდღიურად იმუშავებს ადგილობრივ გლეხებთან და მეწარმეებთან და შეასწავლის მათ, თუ როგორ უნდა მართონ ბიზნესი, გაეცნობა და შეისწავლის არსებულ პრობლემებს," - განაცხადა ჟვანიამ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩამოსვლისთანავე მოხალისეებს დაეწყებათ 9-კვირიანი წინა სამსახურებრივი მომზადება ქართულ ენასა და კულტურაში, ასევე უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და ტექნიკურ საკითხებში. წინა სამსახურებრივი მომზადების დროს მოხალისეები საგარეჯოს რაიონში იცხოვრებენ. ორი წლის განმავლობაში მოხალისეები ასწავლიან ინგლისურ ენას საჯარო სკოლებში ან იმუშავებენ არასამთავრობო და ბიზნესორგანიზაციებში კახეთსა და ქვემო ქართლში.

აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში, საქართველოს მთავრობის მოწვევით, 2001 წლიდან მოღვაწეობს. ამ პერიოდში საქართველოში, დაახლოებით, 255 მოხალისემ იმსახურა. გუშინ კორპუსის 30-კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა - ინგლისური ენის 20 მასწავლებელი და 10 ბიზნესმრჩეველი. მშვიდობის კორპუსმა საქართველოში მუშაობა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ შეაჩერა და კორპუსის საქმიანობა დღეიდან ისევ განახლდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სემნები პასუხისმგებლობას ითხოვს

პირველი გვერდიდან

ვინაიდან საპარლამენტო უმრავლესობა აღნიშნულ თანამდებობაზე სალომე ზურაბიშვილის დანიშვნის წინააღმდეგია, გუშინ მან ამ საქმეში დახმარება პიტერ სემნების სთხოვა.

ნინო ბურჯანაძემ სემნებისთან საუბრის დასრულების შემდეგ, ევროკავშირს და დიპლომატიურ კორპუსს მოუწოდა, რომ **მიხეილ სააკაშვილის ტერორი გააჩერონ!** წინააღმდეგ შემთხვევაში, შენიშნავს ბურჯანაძე, **პროცესები უმართავი გახდება. დაუსჯელობის სინდრომის დროს პროტესტის ფორმა უფრო იზრდება."**

ბურჯანაძის ინფორმაციით, შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო მამისონის უღელტეხილთან შექმნილ პრობლემას. ოპოზიცია აღნიშნულ საკითხზე დეტალურ ინფორმაციასა და განმარტებებს მოითხოვს.

თავად პიტერ სემნების განცხადებით, 15 ივნისს პოლიციის შენობასთან მომხდარი ფაქტი მიუღებელია. **ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებლობა ორივე მხარემ აიღოს და ერთმანეთს პატივი სცენ,** - აღნიშნა ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა.

ევროპელმა დიპლომატმა საგანგებოდ აღნიშნა საქართველოში რეფორმების, მათ შორის, საკონსტიტუციო რეფორმის აუცილებლობა.

# ჟენევის ფორმატის მნიშვნელობა გაიზარდა

ნათია მსხილაძე

*ჟენევის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი 1-2 ივლისს გაიმართება, სადაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე საპოლიციო და სამშვიდობო ძალების განლაგების აუცილებლობის, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ეფექტურად ამოქმედების საკითხებს განიხილავენ. ასევე გადაიხედება ის პრობლემები, რის გამოც აღნიშნული მექანიზმები ვერ მოქმედებს.*

ჟენევის მოლაპარაკებების მოსამზადებლად საქართველოში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. ისინი პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძესა და საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს შეხვდნენ.

საქართველოში გაერო-ს მისიის შეწყვეტის შემდეგ, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიერ მორელი ჟენევის მოლაპარაკებების მორიგ, მე-6 რაუნდზე **"ყველა მონაწილესთან ერთად წარმატების მიღწევას"** მოელის. ქართული მხარე კი არ გამორიცხავს, რომ რუსეთი ჟენევის მოლაპარაკებებს ჩაშლის.

საგარეო საქმეთა მინისტრისა და ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეების შეხვედრა, დაახლოებით, 1 საათს გაგრძელდა. შეხვედრისას მხარეებმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები განიხილეს და რეგიონებში მშვიდობის შენარჩუნების ფორმატზე ისაუბრეს.

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელ პიერ მორელთან სატელეფონო საუბრისას, კარასინმა აღნიშნა, რომ რეგიონში დაძაბულობის ახალ ტალღას საერთაშორისო საზოგადოების მიერ ახალი რეალობის უარყოფაც უწყობს ხელს. **საუბრისას რუსული მხრიდან შეფასება მიეცა გაერო-ს უშიშროების საბჭოში გამართულ დისკუსიებს და რეგიონში შექმნილ სამხედრო პოლიტიკურ სიტუაციას. სურათი ძალიან მძიმეა. ჩვენ შექმნილი პოლიტიკურ-სამართლებრივი ახალი რეალობის აღიარებაზე უარს შევეჩეხეთ, ეს კი არასტაბილურობის ახალ ტალღას აგორებას უქადის,** - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თავის მხრივ, პიერ მორელმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში საქმიანობას გააგრძელებს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შექმნილ ვითარებაზე მოსაზრებებს მოსკოვში ივნისის თვეში დაგეგმილ შეხვედრაზეც გაცვლიან.

**ჟენევის დისკუსიები ახლა საჭიროა ისე, როგორც არასდროს და ამიტომაც მოლაპარკებებისთვის მზადება მიმდინარეობს,** - აღნიშნა მორელიმ.

# დაავადება კრემლის დერეფნებში

დათო გამისონია

*გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პასუხი გასცა ბოლო პერიოდში რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებს.*

რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრ კოლმაკოვმა **საქართველოს ხელმძღვანელობა და "მისი მფარველები" რეგიონში დესტაბილიზაციის მცდელობასა და "ძალისმიერი სცენარების მომზადებაში"** დაადანაშაულა. რუსეთის არმიის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა ბოლდირევმა კი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ქმედებების გამართლება სცადა: **აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული სამხედროები აბსოლუტურად ბრძოლისუნარიანები არიან და შეუძლიათ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, როგორც ტერორისტული აქტების, ისე პირდაპირი აგრესიისაგან. .**

**იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრემლის დერეფნებში ბიპოლარული აშლილობით არიან დაავადებულნი. კეთდება ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები. ანტიქართული კამპანია მიმდინარეობს იმ ფონზე, როდესაც რუსეთი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 12 აგვისტოს ხელშეკრულების უხეში დარღვევით განაგრძობს საქართველოს განუყოფელი ნაწილების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას და ამ ტერიტორიებზე ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას,** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო განცხადებაში.

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთხელ მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას და მკაფიოდ აღნიშნა, რომ **ამ დაავადებით შეპყრობილი რუსეთი კიდევ უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის.**

### რუსული ვეტოს შემდეგ

გუშინ საქართველოს პარლამენტში საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის ერთობლივი სხდომა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი სერგი კაპანაძე. საკომიტეტო მოსმენაზე გაერო-ს მისიის ევროკავშირის მონიტორებით ჩანაცვლების საკითხი განიხილეს. როგორც პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა განმარტა, **რუსეთის მიერ მისივე ხელმოწერილი დოკუმენტის არშესრულება ნათლად აჩვენებს, როგორ არღვევს ის საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რადგან ამ ქვეყანას ხელი აქვს მოწერილი 12 აგვისტოს შეთანხმებაზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლის თანახმად, ომის შედეგების და მთლიანობაში კონფლიქტის გადაწყვეტა-ამოწურვაში საერთაშორისო მონაწილეობა, ასე ვთქვათ, უნდა ყოფილიყო ნებადართული.**

**ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ყველა მიმართულებით, ეს ეხება როგორც გაერო-ს და ეუთო-ს ახალ როლს, ასევე საქართველოში ევროკავშირის მისიის შენარჩუნებას,** - განაცხადა სერგი კაპანაძემ. მისი თქმით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გაერო-ს გენერალურ ასამბლეასთან ურთიერთობების გააქტიურებას აპირებს. საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის თქმით, უკვე დაგეგმილია იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ გასული წლის აპრილში მიღებული რეზოლუციის გააქტიურება. თუმცა, სერგი კაპანაძემ იქვე განმარტა, რომ გაერო-ს გენერალური ასამბლეის როლი და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ისეთი სიძლიერის არ არის, როგორიც გაერო-ს უშიშროების საბჭოსი. სერგი კაპანაძემ ისიც დასძინა, რომ საქართველოში მუშაობას გააგრძელებს გაერო-ს სპეციალიზებული მისია, რადგან იგი გაერო-ს უშიშროების საბჭოს მანდატით არ ფუნქციონირებს.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ლირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ეუთო-ს მისია - უკვე წარსულში

დიმიტრი ავალიანი

*ეუთო-ს მისია საქართველოში საქმიანობას თვის ბოლომდე დაასრულებს. მის ხელმძღვანელ ტერი ჰაკალას საქართველოში ეუთო-ს მოღვაწეობაზე საუბარი უკვე წარსულ დროში უწევს. იგი აცხადებს, რომ ეუთო-ს წევრების პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში მტკიცე და უკომპრომისოა, ხოლო მისიის შეჩერებისთვის პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება.*


AFP ' 2009

**- შესაძლებელი იყო საქართველოში ეუთო-ს მისიის შენარჩუნება? რატომ არ გამოდგა ამისთვის საკმარისი ეუთო-ს წევრი ქვეყნების ძალისხმევა?**

- დღევანდელ პირობებში მისიის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ ჩვენთვის ცხინვალში დაბრუნება შეუძლებელი გახდა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვმუშაობდით და ამ მუშაობის გაგრძელების საშუალება აღარ მოგვეცა.

**- რომელ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა მისიის მანდატის შეწყვეტისთვის? შეეძლო თუ არა საქართველოს რაიმეს გაკეთება მისი შენარჩუნებისთვის?**

- ეს გადაწყვეტილება რუსეთზე იყო დამოკიდებული. რუსეთი არ დათანხმდა ფინეთისა და საბერძნეთის თავმჯდომარეობით შემუშავებულ წინადადებებს. მართალია, კონსულტაციები ვენაში კვლავ გრძელდება, მაგრამ იმ წინადადებებს, რომლებიც ვენაში მაგიდაზე უდევთ, ჯერჯერობით ერთადერთი ქვეყანა - რუსეთი უარყოფს. საქართველოს პოზიცია გასაგებია ეუთო-ს ყველა დანარჩენი წევრისთვის და ყველა ეს ქვეყანა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ საკითხში ჩვენ კომპრომისზე არ მივდივართ.

**- როგორ შეიძლება აისახოს მისიის შეჩერება საქართველოს კონფლიქტურ ზონებში არსებულ სიტუაციაზე?**

- ეუთო-ს მისიას სხვადასხვა სფეროში მუშაობის გაგრძელება შეეძლო. ძალიან კარგი პროგრამები გვქონდა, ომამდე და ომის შემდეგაც. კონფლიქტურ ზონებში წარმატებით ხორციელდებოდა ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამა, მუშაობდნენ სამხედრო დამკვირვებლები, რომლებიც მოიპოვებდნენ ობიექტურ ინფორმაციას კონფლიქტის ზონაში მომხდარ ფაქტებზე. დამკვირვებლები ომის შემდეგაც რჩებოდნენ საქართველოში - იმ ტერიტორიაზე, სადაც ამის საშუალება გვქონდა. ჩვენი წასვლა იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ნაკლები საერთაშორისო დამკვირვებელი და ორგანიზაცია დარჩება, რომლებსაც შეეძლოთ თქვენი ქვეყნის მხარდაჭერა სხვადასხვა რეფორმების განხორციელებაში და ობიექტური ინფორმაციის მოპოვება კონფლიქტის ზონებში.

**- არსებობს თუ არ დღეს რესურსი იმისთვის, რომ საერთაშორისო ყოფნა და საერთაშორისო თანამეგობრობის როლი გაიზარდოს, თუნდაც რაიმე სხვა ფორმატში?**

- სიტუაცია საკმაოდ რთულია. ორიოდე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ საქმიანობას წყვეტს გაერო-ს მისია, რომელიც, ისევე როგორც ჩვენ, კონფლიქტის ზონაში მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა. ეს ჩემთვის ნათელი პოლიტიკური ნიშანია - ერთ-ერთ მხარეს არ სურს, რომ იქ საერთაშორისო მისიებმა იმუშაონ. რისი გაკეთებაა შესაძლებელი? იქ კვლავაც მუშაობენ ჰუმანიტარული მისიები, წითელი ჯვარი, გაერო-ს ლტოლვილთა კომისარს აქვს კონფლიქტის ზონებში მოხვედრის შესაძლებლობა. ჯერჯერობით უცნობია, რა კონტექსტში შეძლებენ მუშაობას საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს დროთა განმავლობაში გაირკვევა. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ჰუმანიტარულ საკითხებს შეეხება.

**- საქართველოში ეუთო-ს ყოფნის პერიოდში რა მიგაჩნიათ მისიის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად?**

- ვერ ვიტყვი, რომ ერთი სფერო ან სექტორი გამოირჩევა. ეუთო საქართველოში შესაძლებლობების გაზრდის რამდენიმე პროგრამას ახორციელებდა. განხორციელდა პროგრამა საზღვრის დაცვის მენეჯმენტის სფროში, ტრენინგების პროგრამები სასაზღვრო ძალებისთვის. რამდენიმე წლის წინ ეუთო-ს მისია საზღვარზეც იდგა. ეს ერთი-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი იყო. გარკვეული წარმარტებები იყო დემილიტარიზაციის საკითხებში. მისია ძალიან აქტიურად მუშაობდა თავდაცვის სამინისტროსთან ძველი საბრძოლო მასალების უტილიზაციის პროგრამაზე. ეს მუშაობა მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა. კარგი შედეგები იყო გარემოს დაცვის პროგრამებში. გავაუმჯობესეთ ადამიანების ცოდნა ბევრ საკითხში. კონფლიქტის ზონაშიც გარკვეულ შედეგებს მივაღწიეთ - გასული წლის მოვლენებამდე წარმატებით ვმუშაობდით ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე, არასამთავრობო სექტორის განვითარებაზე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაცია სამხედრო დამკვირვებლების მისია იყო. ისინი ცხინვალში მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ და ეუთო-ს წევრ ქვეყნებს ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდნენ. ვფიქრობ, მისიამ შეძლო ოსებსა და ქართველებს შორის ნდობის ამაღლება. ამ 16 წელიწადში, საქართველოს მთავრობასთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან ერთად, არაერთ წარმატებას მივაღწიეთ.

**- მისიის შეჩერება აისახება საქართველოში ეუთო-ს საქმიანობის ისეთ ასპექტებზე, როგორიც არის არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებები და სხვა?**

- მისიის წასვლა ნიშნავს იმ პროექტების შეწყვეტას, რასაც ქვეყნის შიგნით ვახორციელებდით. საქართველოს დატოვებენ სამხედრო დამკვირვებლები. თუმცა, არჩევნების მონიტორინგს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი ახორციელებს და მისი წარმომადგენლები ჩამოვლენ, თუ თქვენი მთავრობა მათ მოიწვევს. გარდა ამისა, თავის საქმიანობას გააგრძელებენ ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისარი; ასევე - ეკონომიკურ საკითხთა კოორდინატორი და ეუთო-ს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში. ასე რომ, ეუთო-ს სხვადასხვა ინსტიტუტები საქართველოში საქმიანობას უშუალოდ ვენიდან, ორგანიზაციის შტაბ-ბინიდან გააგრძელებენ.

**- ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლებს თუ მიუწოდებიათ კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაცია ევროკავშირის კომისიისთვის, რომელიც აგვისტოს მოვლენების მიზეზებს სწავლობს?**

- ეუთო, როგორც ორგანიზაცია, ტალიავინის კომისიასთან თანამშრომლობს და კომისიას, როგორც მე ვიცი, გენერალური მდივნის სახელით, ინფორმაცია უკვე გადაეცა. კომისიასთან თანამშრომლობას გავაგრძელებთ.

# მდუმარე აქცია

დათო გამისონია

გუშინ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან ოპოზიციის წარმომადგენელმა ქალებმა 15 ივნისს სამართალდამცველების მიერ მომიტინგეთა დაკავება დუმილით გააპროტესტეს. არსებული ინფორმაციით, სამმართველოს შენობაში ამ დროისთვის ოპოზიციის ექვსი დაპატიმრებული აქტივისტი რჩება. არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან დედების საპროტესტო აქციაზე დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერი ნინო ბურჯანაძე და ახალი მემარჯვენეები - მანანა ნაჭყებია და ფიქრია ჩიხრაძე იმყოფებოდნენ.

**ქართველი დედები მობრძანდნენ სამმართველოსთან და ისინი აპროტესტებენ იმ ფაქტს, რომ დაკავებულებს მკურნალობის შესაძლებლობა არ ეძლევათ. არ შეიძლება, ახალგაზრდებს ასეთი მეთოდებით უსწორდებოდე და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას იგნორირებას უკეთებდე,** - განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

**დედების შეკრების უმთავრესი მიზანი შვილების უფლებების დაცვაა. თუ ვინმე დასასჯელია, მხოლოდ კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს,** - ასეთი იყო ნინო ბურჯანაძის კომენტარი. პოლიციის მთავარ სამმართველოსთან დაკავებული ახალგაზრდა აქტივისტების დედებმა შსს-ს დროებითი მოთავსების N2 იზოლატორის უფროს ვალერი კაკაურიძის სახელზე განცხადება დაწერეს. თუმცა განცხადება პოლიციის მთავარი სამმართველოს კანცელარიაში არ ჩაიბარეს. **განცხადებაზე 24 დედის ხელმოწერა იყო. დედები ითხოვდნენ ინფორმაციას დაკავებულების ჯანმრთელობის შესახებ და მათ საავადმყოფოში გადაყვანას. ყველა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განცხადება ჩაიბაროს,** - განაცხადა რესპუბლიკური პარტიის წევრმა სოფიო ხორგუანმა. გუშინდელი საპროტესტო აქციის მონაწილეები აღნიშნული განცხადების გაგზავნას ფოსტით აპირებენ. გარდა ამისა, განცხადების ავტორები სახალხო დამცველის აპარატსაც მიმართავენ.

დღეს, 15:00 საათზე, მდუმარე საპროტესტო აქციას საზოგადოებრივი ორგანიზაცია ქართული აკადემიის წევრები გამართავენ. აკადემიის წევრები პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან ხელშეკრულები მივლენ და დაპატიმრებული ოპოზიციონერი ახალგაზრდების გათავისუფლებას მოითხოვენ.

## ეუთო-ში საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე იმსჯელებენ

ეუთო-ში საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე იმსჯელებენ. საკითხს ვენაში უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხებში კნუტ ვოლებეკი დააყენებს. საუბარი შეეხება გალში შექმნილ ვითარებას, სადაც ადამიანების სიცოცხლის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და სხვა ფუნდამენტური ღირებულებები ირღვევა. ეუთო-ს მუდმივი საბჭოს სდომაზე კონფლიქტის რეგიონებში რუსეთის აგრესიული ქმედებების საკითხებს განიხილავენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## "აშშ-სთან გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია ორმხრივად მნიშვნელოვანია"

ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერ ირაკლი ალასანიას შეფასებით, "საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია ორმხრივად მნიშვნელოვანია". როგორც აშშ-ში ვიზიტით მყოფმა ალასანიამ განაცხადა, "ცხადია, რომ სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია ორმხრივად სასარგებლოა - როგორც საქართველოსთვის, ასევე ამერიკის შეეერთებული შტატებისთვის." ამასთან, ალასანია იმედოვნებს, რომ მოხდება აღნიშნული პარტნიორობის გადატანა ინსტიტუციონალურ დონეზე. "საჭიროა, ამ თანამშრომლობამ კონკრეტული შედეგები მოიტანოს სასამართლოს, მედიის, საარჩევნო კანონმდებლობის და უსაფრთხოების საკითხებში," - განმარტავს "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი და საქართველოს ყოფილი ელჩი გაერო-ში. ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია ვაშინგტონში აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილეს საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში ალექსანდრე ვერშბოუს შეხვდა. როგორც ალასანიას პრესსამსახურიდან გვაცნობეს, შეხვედრაზე რეგიონული უსაფრთხოების საკითხები, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და სამხედრო დახმარების შესაძლებლობები განიხილეს. იმავე დღეს ირაკლი ალასანია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში ევროპისა და ევრაზიის დახმარების კოორდინატორ დანიელ როზენბლუმს შეხვდა. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზეც ირაკლი ალასანიამ და დანიელ როზენბლუმმა ყურადღება გაამახვილეს, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი იყო. შეხვერდაზე იმ ფინანსური დახმარების საკითხებიც განიხილეს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისთვის გაუზრდის საქართველოს. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებული ქარტიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სწორედ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა და საქართველოს მიერ ამ კუთხით აღებული ვალდებულებების მონიტორინგი იქნება. ირაკლი ალასანიამ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის შესახებ აშშ-ს სენატში სენატორ ჯეკ რიდთან შეხვედრაზეც ისაუბრა.

## რამზან კადიროვი აფხაზეთში მეჩეთის ასაგებად მიწის გამოყოფას ითხოვს

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა სეპარატისტული აფხაზეთიდან ჩასული დელეგაცია მიიღო. დელეგაციას სეპარატისტთა ე. წ. პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა ხელმძღვანელობდა. აღნიშნული შეხვედრის დროს ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადროვმა აფხაზეთში მეჩეთის მშენებლობის სურვილი გამოთქვა. "მიწის ნაკვეთის გამოყოფის შემთხვევაში, რუსეთსა და აფხაზეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთთობების ნიშნად, მზად ვართ, აფხაზეთში მეჩეთი ავაშენოთ," - განაცხადა კადიროვმა. ჩეჩნეთის პრეზიდენტის ინიციატივაზე სეპარატისტული აფხაზეთის ე. წ. პარლამენტის თავმჯდომარემ კი განაცხადა, რომ კადიროვის ამ ინიციატივას აუცილებლად გადასცემს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერ სერგეი ბაგაფშს. ჩეჩნეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, კადიროვმა სტუმრებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოულოცა. თავის მხრივ, ნუგზარ აშუბამ რამზან კადიროვს განუცხადა, რომ აფხაზ და ჩეჩენ ერებს შორის ყოველთვის მეგობრული ურთიერთიერთობა იყო. "90-იანი წლების დასაწყისში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ჩეჩენმა მოხალისეებმა დიდი დახმარება გაუწიეს აფხაზ ხალხს სუვერენიტეტისთვის ბრძოლაში. ჩეჩნები ყოვეთვის ბრძოლის წინა ხაზზე იყვნენ. საბრძოლო მოქმედებების დროს კი აფხაზეთის მიწაზე 76 ჩეჩენი დაიღუპა," - განაცხადა აშუბამ. როგორც აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარემ ნუგზარ აშუბამ აღნიშნა, მას ახარებს ის, რომ ჩეჩენი ერი თავის მომავალს რუსეთთან ერთად ხედავს, ისევე როგორც აფხაზი ერი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### "ნაბუკოს" პროექტი, შესაძლოა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დააფინანსოს

"ნაბუკოს" პროექტი შესაძლოა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დააფინანსოს.

გაზსადენის მშენებლობის დაფინანსების თაობაზე მზადყოფნა ბანკის ბიზნესენერგეტიკის განყოფილების დირექტორმა რიკარდო პულიტმა გამოთქვა.

"ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შეუძლია პროექტის დაფინანსებისთვის ბანკების სინდიკატს სათავეში ჩაუდგეს და "ნაბუკოსთვის" მილიარდი ევრო გამოყოს," - განაცხადა პულიტმა სააგენტო "ბლუმბერგთან" საუბრისას.

როგორც ცნობილია, პროექტის საერთო ღირებულება 7 მილიარდ ევროს შეადგენს. გაზსადენი აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, ბულგარეთის, ავსტრიისა და გერმანიის ტერიტორიაზე გაივლის და ევროპას ყოველწლიურად 26-დან 32 მილიარდ კუბამეტრამდე ბუნებრივ აირს მიაწვდის.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### მსოფლიოში ნავთობის ფასი გაიზარდა

მსოფლიოს წამყვან სანავთობო ბირჟებზე ნავთობის ფასი გაიზარდა. როგორც "პირველს" ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან აცნობეს, ლონდონში InterContinental Exchange Futures-ზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 70,85 (+0,61) დოლარი შეადგინა, ხოლო ნიუ-იორკში New York Mercantile Exchange-ზე Light Sweet Crude Oil ტიპის ნავთობის ფასმა - 71,03 (+0,56) დოლარი.

*პირველი*

### "ოპეკი" ნავთობის "სამართლიან" ფასად ბარელზე 75-80 დოლარს მიიჩნევს

ოპეკი" ნავთობის "სამართლიან" ფასად ბარელზე 75-80 დოლარს მიიჩნევს, წლის ბოლომდე კი მის 100 დოლარის ნიშნულამდე გაზრდას ისახავს მიზნად.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განუცხადა.

"ბოლო თვეების განმავლობაში ნავთობის ფასი მუდმივად იზრდება. წლის დასაწყისიდან ნავთობის ფასი დაახლოებით 58-60%-ითაა მომატებული. ამასთან, რამდენიმე დღის უკან ბოლო შვიდი თვის განმავლობაში ნავთობის ყველაზე მაღალი ფასი - ბარელზე 73,23 დოლარი დაფიქსირდა," - აცხადებს მთვრალიშვილი.

მისივე თქმით, ზოგადად ნავთობის ფასზე ძლიერ მოქმედებს ეკონომიკაში არსებული ვითარება, შესაბამისად, ნავთობის გაძვირება დიდწილად მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით ოპტიმისტურ პროგნოზებთანაა დაკავშირებული. "ნავთობის ფასის მკვეთრი ვარდნის მიზეზი თავის დროზე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი გახლდათ. შესაბამისად, ფასების ამჟამინდელი მატება დაკავშირებულია იმ დამაიმედებელ ინფორმაციებსა და პროგნოზებთან, რომლებიც მსოფლიოში ეკონომიკური ვარდნის შეჩერებას და ახლო პერიოდისათვის ეკონომიკის ზრდის პროცესების დაწყებას ეხება," - აღნიშნა მთვრალაშვილმა.

მისივე თქმით, მსოფლიოში ნავთობის დაბალი ფასის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგენი "ოპეკის" ქვეყნები იყვნენ, რომლებიც ნავთობის მნიშვნელოვან მარაგებს ფლობენ (მსოფლიო მარაგების დაახლოებით 40 პროცენტს). "ოპეკმა" ნავთობის მოპოვების მკვეთრი შემცირებით ხელი შეუწყო ნავთობის ფასის მნიშვნელოვან ზრდას. ამ ქვეყნების არგუმენტი ის გახლავთ, რომ ნავთობის მრეწველობას ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავებისათვის სერიოზული ინვესტიციები სჭირდება, რათა უახლოეს წლებში დაკმაყოფილდეს მოთხოვნილება. ეს ყველაფერი კი შესაძლებელია მხოლოდ ნავთობზე მაღალი ფასის პირობებში. "ოპეკი" ნავთობის "სამართლიან" ფასად ბარელზე 75-80 დოლარს მიიჩნევს, თუმცა წლის ბოლომდე მის 100 დოლარის ნიშნულამდე გაზრდას გეგმავს," - განმარტავს მთვრალიშვილი და დასძენს, რომ საერთაშორისო ფასებიდან გამომდინარე, ბოლო 2-3 თვის განმავლობაში საქართველოს საცალო ქსელში საწვავის ფასი პერიოდულად 5-5 თეთრით იზრდებოდა და დღეისათვის საშუალოდ ლიტრზე 25-30 თეთრით არის გაზრდილი.

*პირველი*

# მიხეილ სააკაშვილი კახეთში გლეხების პრობლემებს გაეცნო

სალომე ძაძამია

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ კახეთში, სოფელ ნაფარეულში ადგილობრივ გლეხებს შეხვდა. პრეზიდენტი გლეხებს მევენახეობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით მთავრობის გეგმებზე ესაუბრა და მათი პრობლემებიც მოისმინა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, გლეხების დასახმარებლად ბიუჯეტში თანხა გათვალისწინებულია და ამ საკითხზე პარლამენტი უკვე მუშაობს. გლეხების მხრიდან პრეზიდენტთან შეხვედრაზე პრობლემად შესაბამისი ტექნიკის უქონლობა და შხამ-ქიმიკატების მაღალი ფასი დასახელდა.

მიხეილ სააკაშვილმა პრობლემების მოგვარება სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელს დაავალა. პრეზიდენტი გლეხებს სოფლის გაზიფიცირებასაც დაჰპირდა. რთველის წარმატებით ჩატარებისთვის და მეღვინეობის დახმარებისთვის 24.7 მილიონი ლარი გამოიყოფა, რომელსაც 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი: ღვინის ბაზარზე სერიოზული კონკურენციაა, ახლა თურქეთმაც დაიწყო საფერავის ტიპის ღვინის ჩამოსხმა. ამიტომ ჩვენ ღვინო უნდა გავიტანოთ ევროპულ ბაზარზე რაც შეიძლება უფრო მეტი და უმაღლესი ხარისხის. თუ არ დავიწყებთ გლობალურად აზროვნებას, გაგვიჭირდება ევროპული ბაზრების ათვისება. სამი წელია ამაზე ვსაუბრობთ და წელს მაინც მასობრივად უნდა დავიწყოთ ეს პროცესი. ღვინის გატანამდე ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, გვჭირდება გასაღების კონსულტანტები. მომავალი წლისთვის გზა კეთდება გომბორზე, რომელიც მოგვცემს პლიუს 30%-ის ეფექტს და შევძლებთ ბაზარზე გავიდეთ იმავე რაოდენობის ღვინით, რითაც გავდიოდით რუსეთის ემბარგომდე. ეს იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ ყველანი ჩავებმებით მსოფლიო კონკურენციაში. ჩვენი ხალხი გონიერია, თუმცა საჭიროა სპეციალისტის რჩევა და ინფორმაცია. ამიტომ რაც შეიძლება ბევრი ადამიანი უნდა ჩაებას ქართული ღვინის ევროპულ ბაზარზე გატანის საქმეში.

კახელმა გლეხებმა პრეზიდენტს საბანკო სექტორში არსებულ პრობლემებზეც შესჩივლეს. მიხეილ სააკაშვილი მათ დაჰპირდა, რომ ბანკები სექტემბრიდან სესხების გაცემას სრულად აღადგენენ.

მთავრობა უახლოეს ერთ კვირაში გამოაცხადებს ბანკების სტიმულირების პროგრამას და ამ ზაფხულში დაიწყება კრედიტირება. საქართველოში მოქმედ ბანკებს ფული აქვთ, რესურსები არსებობს, მაგრამ იმის გამო, რომ ტელევიზორში განუწყვეტლივ ისმოდა სხვადასხვა სახის მუქარები, რომ გადაიკეტება გზები, ჩამოიშლება ეკონომიკა და ა.შ. ამის გამო გარკვეული ხნით შეაჩერეს კრედიტების გაცემა. 9 აპრილამდე ბანკებიდან 150 მილიონი ლარი გაიცა. ახლა დაბრუნდა ეს ფული და ბანკები კვლავ ელოდებიან სტაბილურ სიტუაციას. კრედიტის გარეშე სოფლის მეურნეობა ვერ განვითარდება და ეს ყველამ კარგად ვიცით. მსოფლიო კრიზისამდე ჩვენ უკვე ისეთ დონეზე ვიყავით, რომ მიკროკრედიტების გაცემა უნდა დაგვეწყო, რაც მთელს მსოფლიოში ცნობილი მეთოდია. თუმცა კრიზისის გამო და იმ ხალხის გამო, ვისაც უნდა, რომ შეგვაშინოს, გავჩერდით. თუმცა სექტემბრიდან მსხვილი კრედიტების გაცემა დაიწყება, - განაცხადა პრეზიდენტმა.

სახელმწიფო მევენახეებისთვის ფინანსურ დახმარებას გაზრდის. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა განაცხადა. მისი განმარტებით, წელს ვაუჩერიზაციის ფარგლებში მევენახეები კილოგრამ რქაწითელზე სახელმწიფოსგან დამატებით 15 თეთრს, საფერავზე კი 25 თეთრს მიიღებენ.

ეს იქნება ფინანსური დახმარება, რომელსაც თითოეული გლეხი სახელმწიფოსგან დანამატის სახით მიიღებს იმ თანხაზე, რომელსაც საწარმოები მათ მოყვანილ მოსავალში გადაუხდიან, - აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე უცნობია, თუ რა ოდენობის თანხა გამოიყოფა გლეხების წახალისებისთვის. მინისტრის განცხადებით, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მასშტაბებს მიაღწევს წელს ყურძნის წარმოება.

# დეპუტატები რთველის დაფინანსებით დაინტერესდნენ

თინა შავაძე

პარლამენტში მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" დეტალური განხილვა დაიწყო. გუშინ გამართულ საკომიტეტო მოსმენებზე საპარლამენტო ოპოზიცია რთველის დაფინანსებითა და საგარეო ვალის გაზრდის საკითხებით დაინტერესდა. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მელაძის განმარტებით, ბიუჯეტის 312 მილიონი ლარით გაზრდა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების გზით მოხდა და გამოყოფილი თანხებით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სოციალურ პროექტები დაფინანსდება.

წარმოდგენილი პროექტით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები 24.9 მლნ ლარით იზრდება და ის ძირითადად 2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებზე (10.0 მლნ ლარი) და მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებზე (14.7 მლნ ლარი) დაიხარჯება. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ პაპუნა პეტრიაშვილმა აგრარული სექტორის დაფინანსების გაზრდის შესახებ კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ მთავრობა ცდილობს, ქართველი გლეხი მაქსიმალურად დაცული იყოს.

მიმდინარე წელს, ვაუჩერიზაციის ფარგლებში, მევენახეები კილოგრამ რქაწითელზე სახელმწიფოსგან დამატებით 15 თეთრს, საფერავზე კი 25 თეთრს მიიღებს. ეს იქნება ფინანსური დახმარება, რომელსაც თითოეული გლეხი სახელმწიფოსგან დანამატის სახით მიიღებს იმ თანხაზე, რომლებსაც საწარმოები მათ მიერ მოყვანილ მოსავალში გადაუხდიან. ამ ეტაპზე უცნობია, თუ რა ოდენობის თანხა გამოიყოფა გლეხების წახალისებისთვის. კვეზერელის განმარტებით, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მასშტაბებს მიაღწევს წელს ყურძნის წარმოება.

ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრი ნიკა ლალიაშვილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფას მიესალმება, მაგრამ ეჭვობს, რომ გადადგმული ნაბიჯი პრობლემას არ მოაგვარებს, რადგან მისი აზრით, მეღვინეობაში რეალურად არსებობს მაფია. კერძოდ, წახალისებულია 5-6 კომპანია, დანარჩენისთვის კი არაფერი კეთდება. ამ ბრალდებას დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მელაძე და აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე არჩილ გეგენავა გამოეხმაურნენ. მათთვის გაუგებარია, დეპუტატმა ნიკა ლალიაშვილმა მსგავსი განცხადება რის საფუძველზე გააკეთა.

დეპუტატები საგარეო ვალის 5,173 მილიონ ლარამდე გაზრდის ტენდენციით დაინტერესდნენ. პეტრიაშვილის განმარტებით, საგარეო ვალის ზღვარი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემთან მიმართებაში განისაზღვრება, ამ მხრივ კი საქართველოში ცუდი მდგომარეობა არ არის. ზოგადად დასაშვებია, რომ საგარეო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 60 პროცენტს შეადგენდეს. განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, ჰოლანდიაში ეს მაჩვენებელი 57 პროცენტს აღწევს, ხოლო იტალიაში - 110 პროცენტს. რაც შეეხება საქართველოს მონაცემებს, საქართველოს საგარეო ვალი მშპ-სთან მიმართებაში მხოლოდ 28 პროცენტია, საჭიროების შემთხვევაში კი ეს ზღვარი წლის ბოლომდე, შესაძლოა, მხოლოდ 34 პროცენტამდე ავიდეს.

# ლაშა ჟვანია და ჯონ ტეფტი აშშ-ს მშვიდობის კორპუსის წევრებს შეხვდნენ

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია და აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი აშშ-ს მშვიდობის კორპუსის წევრებს შეხვდნენ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი საქართველოში აშშ-ს მშვიდობის კორპუსის მუშაობის განახლებას მიესალება და აღნიშნავს, რომ მათი სამუშაო ძალიან მნიშვნელოვანია.

"ეს ხელს შეუწყობს საქართველოსა და აშშ-ს ხალხების დაახლოებას და არსებული პრობლემების აღმოფხვრას. 2001 წლიდან სხვადასხვა სფეროს მუშაკები ჩამოდიოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას ორი წლის განმავლობაში თავიანთ გამოცდილებებს უზიარებდნენ, ბიზნესსფეროს წარმომადგენლები კი საქართველოში პირველად ჩამოდიან. ძალზე გვჭირდება პრაქტიკული დახმარება მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესსფეროს 10-კაციანი ჯგუფი ორი წლის განმავლობაში ყოველდღიურად იმუშავებს ადგილობრივ გლეხებთან და მეწარმეებთან. გაეცნობიან და შეისწავლიან არსებულ პრობლემებს. დაეხმარებიან და ასწავლიან მათ, თუ როგორ უნდა მართონ ბიზნესი," - განაცხადა ჟვანიამ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩამოსვლისთანავე მოხალისეებს დაეწყებათ 9-კვირიანი წინა სამსახურებრივი მომზადება ქართულ ენასა და კულტურაში - უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და ტექნიკურ საკითხებში. წინა სამსახურებრივი მომზადების დროს მოხალისეები საგარეჯოს რაიონში იცხოვრებენ.

ორი წლის განმავლობაში მოხალისეები ასწავლიან ინგლისურ ენას საჯარო სკოლებში ან იმუშავებენ არასამთავრობო და ბიზნესორგანიზაციებში კახეთსა და ქვემო ქართლში.

აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში, საქართველოს მთავრობის მოწვევით, 2001 წლიდან მოღვაწეობს. ამ პერიოდში საქართველოში დაახლოებით 255 მოხალისემ იმსახურა, დღეს კორპუსის 30-კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა - 20 ინგლისური ენის მასწავლებელი და 10 ბიზნესმრჩეველი.

მშვიდობის კორპუსმა საქართველოში მუშაობა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ შეაჩერა. კორპუსის საქმიანობა დღეიდან ისევ განახლდება.

# არაკონსტიტუციურად გამოცხადებული სადავო ნორმა

ხათუნა გიგაური

*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ცოტა ხნის წინ გამოტანილი გადაწყვეტილებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ქორწინების რეგისტრაციისთვის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა სავალდებულო აღარ არის. საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსის სარჩელი პარლამენტის წინააღმდეგ და სადავო ნორმა - "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტი (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში არაკონსტიტუციურად ცნო.*

მანამდე უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან საქართველოს მოქალაქის ქორწინების რეგისტრაცია დამოკიდებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნებართვაზე.

სალომე წერეთელი-სტივენსის სარჩელის თანახმად, ის დაქორწინდა აშშ-ს მოქალაქე მეთიუ რაიენ სტივენსზე და სამოქალაქო რეესტრის შესაბამის სამსახურში წარადგინა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა. თანხმობაში გადახდილი იყო სახელმწიფო ბაჟი 120 ლარი.

მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმით დარღვეული იყო მისი უფლება ქორწინების თავისუფლებაზე; ადამიანის ბუნებითი თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენდა ის, რომ მისი თავისუფლების რეალიზაცია ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვაზე იყო დამოკიდებული.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ლეგიტიმურობა კრიტიკულად შეაფასა და დაასკვნა, რომ სააგენტოს სავალდებულო თანხმობის შემოღებით, სახელმწიფომ ქორწინების თავისუფლების რეალიზაციას დაბრკოლება შეუქმნა ისე, რომ არ დაუსაბუთებია, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა დემოკრატიული საზოგადოებისთვის რა აუცილებელ, ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააგენტოს სავალდებულო თანხმობით, სახელმწიფომ შეუქმნა მოსარჩელეს დაბრკოლება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ დემოკრატიული საზოგადოება თავისუფალი ინდივიდებისაგან შედგება და ამ საზოგადოებაში კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის უპირველესი ამოცანაა პიროვნების თავისუფლების, მისი თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, ქორწინება და ოჯახი ადამიანის პირადი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამ სფეროში ინდივიდის თავისუფლების ხარისხი განსაკუთრებით მაღალია. სწორედ, პიროვნული თავისუფლებისა და თავისუფალი განვითარების უფლების გამოხატულება და ნაწილია ქორწინების თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, გარდა ინსტიტუციური გარანტიისა, ძირითადი უფლების დამდგენი ნორმაცაა.

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს ყველასთვის, მათ შორის უცხო სახელმწიფოს მოქალაქისათვის თავისუფლებას, მის მიერ არჩეულ პარტნიორზე დაქორწინდეს. დაუშვებელია პირის იძულება, დაქორწინდეს და ოჯახი შექმნას. ასევე, დაუშვებელია დაბრკოლებების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან დაქორწინების მსურველთათვის არაპროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი, ხელისშემშლელი ჩარევის გზით.

**საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის თავისუფლებაზე, მის თავისუფალ განვითარებაზე ყურადღებას ამახვილებს როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი მრავალმხრივი მნიშვნელობის ნორმაა. აქ კონსტიტუციურ დონეზეა დაცული და განმტკიცებული ისეთი ტრადიციული და საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინსტიტუტები და ფასეულობები, როგორიცაა ქორწინება და ოჯახი. კონსტიტუცია იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მოქმედებებისაგან, რომლებიც მათი მნიშვნელობის უმთავრეს პრინციპებს ხელყოფს ,** - ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოში განმარტავენ, მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ, იმისათვის, რომ ქორწინების რეგისტრაცია განეხორციელებინათ, თავიანთი კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია მოეხდინათ, სხვა სავალდებულო საბუთებთან ერთად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა აიღეს. სწორედ სააგენტოს სავალდებულო თანხმობით, სახელმწიფომ სალომე წერეთელ-სტივენსს დაბრკოლება შეუქმნა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ქორწინების ინსტიტუტი სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარება. ეს კი თავისთავად ნიშნავს კანონმდებლის მიერ გარკვეული პირობების დაწესებას დაქორწინების მსურველთათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ქორწინებასთან დაკავშირებით დადგენილი პირობები ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსის, მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვას უნდა ემსახურებოდეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობის არსი, თანხმობის გაცემის პროცედურა გააანალიზა და დაადგინა, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა დამოუკიდებელი დოკუმენტი იყო, რომელსაც რაიმე დამოუკიდებელი დანიშნულება და მიზანი არ ჰქონდა.

რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითებს. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობის იდენტური ინსტიტუტი საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოდგენილ მასალებში ვერ დაინახა.

**თუმცა, რომელიმე უცხო სახელმწიფოში ამგვარი ინსტიტუტის თუნდაც არსებობა არ არის არგუმენტი იმისათვის, რომ იგი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, "ერთია ზოგადად სამართლის ინსტიტუტი, ხოლო მეორე მისი სამართლებრივი გაფორმება, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს კონსტიტუციას."**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა: **"კანონშემოქმედებით პროცესში განვითარებული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრესული გამოცდილების გაზიარება მისასალმებელია, მაგრამ ეს თვითმიზანი არ უნდა იყოს. გამოცდილების გაზიარებისას მხედველობაშია მისაღები რამდენიმე გარემოება. პირველ რიგში, იმპლემენტირებული ინსტიტუტის შინაარსის ქართული ვერსია უნდა თავსდებოდეს საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში."**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა კონსტიტუციური სარჩელი "საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ."

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე." ამ ცვლილებების თანახმად, სადავო აქტი, "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობას საქართველოს მოქალაქისა და უცხო ქვეყნის მოქალაქის ქორწინების რეგისტრაციისას აღარ ითვალისწინებს.

"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, "საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას არ იწვევს, თუ იგი საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება." შესაბამისად, სადავო ნორმის გაუქმებამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის შეწყვეტა არ გამოიწვია.

# ხშირად დასმული შეკითხვები

ხვალ იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი გაბრიელაშვილი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდება და დოკუმენტების აღებასთან დაკავშირებით მათ შეკითხვებს უპასუხებს.

როგორც სამოქალაქო რეესტრში აცხადებენ, შეხვედრის ინიციატორი არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო ინტერგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობათა ცენტრია."

**"აღნიშნული ხასიათის შეხვედრების მიზანია სახელმწიფო სტრუქტურებში გატარებული რეფორმების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და დოკუმენტირებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. ანალოგიური ტიპის შეხვედრა უკვე გაიმართა მარნეულის მოსახლეობასთან. მოქალაქეებთან გასაუბრების შემდგომ, მომავალში საინფორმაციო ბიულეტენი "ხშირად დასმული შეკითხვები" გამოიცემა. ბიულეტენში მოსახლეობისთვის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე გაცემული პასუხები იქნება თავმოყრილი,"** - განმარტავენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

*საკუთარი ინფორმაცია*

### სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენის უფლება ექვსკაციან ჯგუფს ექნება

სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენის უფლება ნაცვლად პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფისა, სულ ცოტა ექვსკაციან ჯგუფს ექნება. "სახალხო დამცველის შესახებ" ორგანულ კანონში შესატანი შესაბამისი ცვლილება პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილეს. საკანონმდებლო ინიციატივის ავტორის, პარლამენტის წევრ ხათუნა გოგორიშვილის განცხადებით, წარმოდგენილი ცვლილებით "სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონი პარლამენტის რეგლამენტში 2008 წლის ოქტომბერში შეტანილ ცვლილებასთან შესაბამისობაში მოდის. კერძოდ, გასულ წელს რეგლამენტში შეტანილი ცვლილებით ფრაქციაში დეპუტატების მინიმალური რაოდენობა, ნაცვლად ათი წევრისა, ექვსი წევრით განისაზღვრა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ტერმინის ცვლილება

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე დეპუტატებმა პირველი მოსმენით განიხილეს "საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" შესატანი ცვლილებები, რომელთა თანახმად, ტერმინი "სასჯელაღსრულების დაწესებულება" იცვლება ტერმინით "წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება." რეგლამენტის პროექტი მომზადებულია პატიმრობის კოდექსის ახალი პროექტიდან გამომდინარე, რომლის განხილვაც პარლამენტში უკვე მიმდინარეობს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### რესპუბლიკელები თანაპარტიელის დაკავებას პოლიტიკურ დევნად მიიჩნევენ

"საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" წევრ მიხეილ გაბუნიას იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო პროცესზე, მიხეილ გაბუნიამ მისი დაპატიმრების დეტალებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ის პოლიტიკური დევნის მსხვერპლია.

როგორც რესპუბლიკურ პარტიაში განმარტავენ, 16 ივნისს, დაახლოებით 15:30 საათზე, მიხეილ გაბუნია გამოვიდა სახლიდან და პარტიის ცენტრალურ ოფისში შეხვედრაზე მიემართებოდა, როდესაც თეთრი ფერის 07 მარკის ავტომობილიდან გადმოსულმა ადამიანებმა მანქანაში ჩასვეს, თვალები აუხვიეს და უცნობი მიმართულებით წაიყვანეს. ავტომანქანის გაჩერების შემდეგ, მას თვალებიდან სახვევი მოხსნეს და იარაღი ჩაუდეს, ფიზიკური და მორალური ზეწოლა განახორციელეს, მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა, იყო მუქარა ოჯახის წევრებთან დაკავშირებით. მოგვიანებით უცნობი ოპერატორი მოვიდა კამერით, რომლის თანდასწრებითაც მან ჩვენება მისცა. ზეწოლის შედეგად და დამკავებელთა მოთხოვნით, ჩვენებაში მიხეილ გაბუნიამ განაცხადა, რომ "მაკაროვის" ტიპის იარაღი მას ბაბუამ დაუტოვა. შემდეგ ის გადაიყვანეს შსს-ს ორთაჭალის შენობაში, სადაც მან კვლავ მუქარისა და ზეწოლის შედეგად იგივე ჩვენება მისცა. მას ოჯახის წევრებთან და ადვოკატთან დაკავშირების უფლება არ მისცეს, - აცხადებენ რესპუბლიკური პარტიის წევრები.

მიხეილ გაბუნიას განმარტებით, მას სამართალდამცველებმა განუცხადეს, რომ თავი დაენებებინა პოლიტიკური საქმიანობისთვის და მისი დაკავებაც პოლიტიკურ საქმიანობას და საკნების აქციაში მონაწილეობას პირდაპირ უკავშირდებოდა.

რესპუბლიკელები ყურადღებას ამახვილებენ კიდევ ერთ დეტალზე: ბრალის წაყენების დადგენილებაში მითითებულია, რომ მიხეილ გაბუნიას ბრალი ედება 1938 წელს გამოშვებული "მაუზერის" ტიპის იარაღის უცნობი პირისგან შეძენა, შენახვასა და ტარებაში. თუმცა მის "აღიარებით" ვიდეო-ჩანაწერში "მაკაროვის" ტიპის იარაღზეა საუბარი.

რესპუბლიკურ პარტიაში აცხადებენ, რომ მიხეილ გაბუნიაზე რამდენიმე თვის წინათაც განხორციელდა ზეწოლა, რომლის შესახებაც მან სახალხო დამცველს ინფორმაცია მიაწოდა. მიხეილ გაბუნია წლების განმავლობაში მუშაობდა სამართალდამცველ ორგანოებში, არის კრიმინალისტი და დოქტორანტურაში სწავლობს.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, მოქალაქეების პოლიტიკური ნიშნით დევნას თავი დაანებოს, - აცხადებენ რესპუბლიკურ პარტიაში.

*მედიანიუსი*

## ლევან გოგიჩაიშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ 9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის" წევრ ლევან გოგიჩაიშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლომ ადვოკატის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რომელიც ბრალდებულის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას შეეხებოდა. სასამართლო პროცესზე მოწმეები არ იყვნენ წარმოდგენილი. პროცესს ოპოზიციის აქტივისტებიც ესწრებოდნენ.

მათი განცხადებით, გოგიჩაიშვილის დაკავება ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური დევნაა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ლევან გოგიჩაიშვილი ეჭვმიტანილია 1991 წელს დაბადებულ დავით ლეჟავას მიმართ ცივი იარაღის გამოყენებით სხეულის მძიმე დაზიანებაში. საქმე ეხება ირაკლი ბათიაშვილის შვილის, ირინა ბათიაშვილის დაბადების დღის შემდეგ წყნეთში მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც ირინა ბათიაშვილის მეგობარი დავით ლეჟავა დაიჭრა. გამოძიება მიმდინარეობს სსსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც 3-დან 5-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ადვოკატები ლევან გოგიჩაიშვილისთვის შეფარდებული წინასწარი ორთვიანი პატიმრობის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავენ.

*მედიანიუსი*

## მონაცემთა გაცვლის სააგენტო იქმნება

იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მონაცემთა გაცვლის სააგენტო იქმნება. სააგენტოს ფუნქციებთან დაკავშირებით, პარლამენტმა შესაბამისი კანონპროექტის განხილვა დაიწყო, რომლის ავტორიც მთავრობაა.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს უფლებამოსილებებში ინფორმაციული ტექნოლოგიების და ელექტრონული მმართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ერთიანი სამთავრობო ქსელის ფუნქციონირების მონიტორინგი, მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის შექმნა და ინფორმაციული რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს განვითარებისთვის აუცილებელი სტანდარტის შემუშავება და სხვა ფუნქციები შევა.

პარლამენტში წარმოდგენილ კანონპროექტში სააგენტოს შექმნის მიზნად ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი სახის მომსახურების დანერგვა, მონაცემთა შენახვისა და მიწოდების სტანდარტის დადგენა, ელექტრონულ დოკუმენტთა გაცვლის ერთიანი სისტემის შექმნა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით მმართველობის ეფექტიანობის გაძლიერებაა დასახელებული.

ეს კანონპროექტი გუშინ პირველი მოსმენით იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა განიხილა.

*პირველი*

## კერძო აღმასრულებლები აუქციონს ჩაატარებენ

კერძო აღმასრულებლებს აუქციონის ჩატარება სახელმწიფოს კონტროლქვეშ, აღსრულების ეროვნულ ბიუროში მოუწევთ.

შესაბამის ცვლილებას "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომელიც იურიდიულ საკიხთა საპარლამენტო კომიტეტმა განიხილა.

კანონპროექტის თანახმად, კერძო აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის პროცედურას აღსრულების ეროვნული ბიურო განახორციელებს.

კერძო აღმასრულებელმა სააუქციონო მომსახურების გაწევისთვის შესაბამისი განცხადებით სააღსრულებლო ბიუროს უნდა მიმართოს, რომელიც დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ აუქციონს ჩაატარებს.

რაც შეეხება დადგენილ გადასახადს, ეს არის ამოსაღები მოთხოვნის 1 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მიაჩნიათ, რომ ამ პროცედურით გარკვეული კონტროლის ქვეშ მოექცევა კერძო აღმასრულებელი, რათა გამოირიცხოს უკანონო გარიგებები მასსა და კრედიტორს შორის. ამასთან, კერძო აღმასრულებელს გარკვეულწილად პასუხისმგებლობაც შეუმსუბუქდება.

*პირველი*

# 140-ტომიანი სერიული მკვლელობების საქმე

*უკრაინელმა სამართალდამცველებმა სასტიკი სერიული მანიაკი, 35 წლის იური კუზმენკო, მეტსახელად ელვის პრესლი დააკავეს. მას ათობით ქალის მკვლელობა ბრალდება. საუბარია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აღმოჩენილ 15 ქალის ცხედარზე და ასევე ჩონჩხების ნარჩენებზე, რომლებიც, როგორც სამართალდამცველები ვარაუდობენ, 20-მდე ქალს ეკუთვნის. უკრაინელი მილიციელების ვარაუდით, აღმოჩენილი ჩონჩხების ნაწილები იმ ქალებს ეკუთვნის, რომლებიც სხვადასხვა დროს გაუჩინარდნენ და დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან.*




*უკრაინელმა სამართალდამცველებმა სასტიკი სერიული მანიაკი დააკავეს.*

**ვფიქრობთ, რომ რამდენიმე დღეში საინტერესო ინფორმაციას მოვიპოვებთ. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, თავს ვიკავებთ კომენტარებისგან. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ იური კუზმენკოს წინააღმდეგ აღძრული ისხლის სამართლის საქმე უკვე 140 ტომისგან შედგება,** - აცხადებს უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი რუსლან სუშკო.

დაკავებული იური კუზმენკო, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს პოპ-ვარსკვლავ ელვის პრესლის, სამართალდამცველებს განსაკუთრებულად გაძლიერებული დაცვის ქვეშ ჰყავთ.

გამოძიების მასალებით, პირველი მკვლელობა, რომელშიც იური კუზმენკოს მიუძღვის ბრალი, კიევის ერთ-ერთ რაიონში, 2006 წელს მოხდა. ცოტა ხანში, სამართალდამცველებმა იმავე ადგილას კიდევ ერთი მოკლული ქალის ცხედარი ნახეს. ექსპერტიზამ მაშინვე დაადგინა, რომ ორივე მკვლელობა ერთი და იმავე ადამიანის მიერ იყო ჩადენილი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, სამართალდამცველებმა ერთმანეთის მიყოლებით კიდევ რამდენიმე ქალის ცხედარი ნახეს. გამომძიებლები დარწმუნებულები არიან, რომ უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ქალების უმეტესობა სწორედ იური კუზმენკოს უკავშირდება.

უკრაინული პრესის ინფორმაციით, იური კუზმენკომ ყველა ჩადენილი დანაშაული უკვე აღიარა და მასთან საგამოძიებო მოქმედებები ყოველდღიურად, ხანგრძლივი დროით ტარდება.

როგორც გაირკვა, იური კუზმენკო პირველად 2002 წელს დააკავეს ქურდობისთვის, რის გამოც, მან 8 წელი ციხის კედლებში გაატარა. თუმცა, ის მაშინ ვადამდე ადრე, კარგი ყოფაქცევის გამო გაათავისუფლეს.

**სერიულ დამნაშავეს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვეძებდით, განიხილებოდა 10-მდე ვერსია. ამ ხნის განმავლობაში შევამოწმეთ 10 ათასზე მეტი ადამიანი. 700 ეჭვმიტანილს დნმ-ს ექსპერტიზა ჩავუტარეთ, თუმცა, არც ერთი მათგანის ანალიზის პასუხი არ დაემთხვა შემთხვევის ადგილებიდან ამოღებულ კვალს,** - აცხადებენ განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლები. მათივე თქმით, დიდი ხნის განმავლობაში ეჭვი ჰქონდათ, რომ დამნაშავე სამხედრო მოსამსახურე იყო, რადგან რაიონში, სადაც მოკლული ქალების ცხედრებს პოულობდნენ, სამხედრო ნაწილი იყო დისლოცირებული. ამ სამხედრო ნაწილში მომსახურე ყველა ჯარისკაციც შემოწმდა.

**შევამოწმეთ ფსიქიატრიული აშლილობის მქონე ადამიანებიც, თუმცა ყველა ვერსიაზე მუშაობა ამდენი ხნის განმავლობში უშედეგოდ მთავრდებოდა,** - აცხადებენ გამომძიებლები.

ბოლოს, ოპერატიულმა მუშაკებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ რაიონში, სადაც ეს საშინელი დანაშაულები ხდებოდა, ყვითელი ფერის ჟიგულის მარკის ავტომანქანა საეჭვო მძღოლით ყველას თვალში ხვდებოდა, რომელიც უაზროდ გადაადგილდებოდა ხოლმე. სამართალდამცველებმა მასზე ფარული თვალთვალი დააწესეს და დამნაშავემ თავი თავად გასცა. დადევნებულ სამართალდამცველებს ის თავდაპირველად ხელიდან დაუსხლტა და მიიმალა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, რამდენიმე დღით ტყეში იმალებოდა.

**ბოლოს ეჭვმიტანილმა ჩათვალა, რომ საშიშროება აღარ ემუქრებოდა და სახლში დაბრუნდა. ამ დროს საეჭვო მძღოლის საცხოვრებელი ადგილი უკვე დადგენილი გვქონდა. იური კუზმენკო ოჯახში დაბრუნებისთანავე დავაკავეთ. ის ფოტოსურათზე ორმა გადარჩენილმა ქალბატონმა ამოიცნო. მის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას მოკლული ქალბატონების უამრავი ნივთი აღმოვაჩინეთ,** - აცხადებენ უკრაინელი სამართალდამცველები.

როგორც გაირკვა, იური კუზმენკო ტაქსის მძღოლად მუშაობდა და მოკლული ქალბატონების უმრავლესობა სწორედ მისი მგზავრი იყო. მოკლულთა ასაკი 60-დან 75 წლამდე მერყეობს.

# დანაშაული ციხის რომანის სცენარით

*სანკტ-პეტერბურგში სკანდალური დანაშაულის გამოძიება მიმდინარეობს. პეტერბურგის პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი იანა ანტონოვა სამსახურიდან დაითხოვეს და ამჟამად ყოფილი კოლეგები მის საქმეს იძიებენ. იგი ბრალდებულია თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და სამსახურებრივ სიყალბეში.*

გამომძიებელმა იანა ანტონოვამ, რომელიც მძიმე კატეგორიის საქმეებს იძიებდა, იზოლატორიდან მოტყუებით გაიტაცა შეყვარებული პატიმარი და მასთან ერთად ერთი კვირის განმავლობაში ცხოვრობდა.

კურიოზული დანაშაული მელოდრამა ციხის რომანის სცენარის მიხედვით განხორციელდა. გამოძიების ინფორმაციით, იანა ანტონოვა იძიებდა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის, თაღლითობაში ბრალდებულ 38 წლის მიხაილ ბერიუკოვის საქმეს. ბერიუკოვი ადრე ნასამართლევი იყო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის, მათ შორის მკვლელობისთვისაც. მისი ბოლო საქმე, რომელსაც ანტონოვა იძიებდა უკვე სასამართლოში იყო გადაგზავნილი.

პატიმარზე შეყვარებულმა გამომძიებელმა გაამზადა ყალბი დოკუმენტი - დადგენილება ბერიუკოვის სხვა საპატიმროში ეტაპირების თაობაზე, ვითომდა, ახალი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მოტივით. გამომძიებელმა მოთხოვნილი პატიმარი ჩაიბარა და ბადრაგი მოატყუა, რომ საქმის გამოძიება ბერიუკოვის წინააღმდეგ შეწყდა და რომ იგი გათავისუფლებული იყო პატიმრობიდან. ამ მოტივით, გამომძიებელმა ბადრაგი დაითხოვა.

**შეყვარებული წყვილი იანა ანტონოვას მიერ წინასწარ დაქირავებულ ბინაში მივიდა, სადაც ერთი კვირა ცხოვრობდა. ამ დროის მანძილზე ბერიუკოვი ქალაქში თავისუფლად მოძრაობდა, მეტიც, პირადი მოხმარებისთვის ყიდულობდა ნარკოტიკს,** - აცხადებენ ანტონოვას ყოფილი კოლეგები.

ერთი კვირის თავზე შეყვარებულებს შორის კონფლიქტი მოხდა, რის გამოც, გამომძიებელმა პატიმარს ციხეში დაბრუნება მოსთხოვა, კატეგორიული უარის მიღების შემდეგ კი, თავად გამოცხადდა მილიციაში და განაცხადა, რომ პატიმარი ბერიუკოვი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას გაექცა. მილიციამ ბერიუკოვი ნაქირავებ ბინაში დააკავა და იზოლატორში ახალი ბრალდებით დააბრუნა. საქმის არსში გარკვევის შემდეგ, იანა ანტონოვა სამსახურიდან დაითხოვეს და მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. შეყვარებული გამომძიებელი ამჟამად მილიციის ზედამხედველობის ქვეშაა და სასამართლო პროცესს ელოდება.

რუსეთში ციხის რომანი უცხო არ არის, ცოტა ხნის წინ მსგავსი ისტორია არხანგელსკში შედგა, თუმცა, ამ შემთხვევაში, გამომძიებელზე შეყვარებულმა ეჭვმიტანილმა, რომელიც სასტიკ მკვლელობაში იყო ბრალდებული შეყვარებულს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული გაახსნევინა. მან აღიარა, რომ ჩაიდინა მკვლელობა და განაცხადა, არ უნდოდა გაუხსნელი საქმით შეყვარებულისთვის კარიერა გაეფუჭებინა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი გრიგორიევი, გამოძიების ორი თვის თავზე, მას შემდეგ, რაც გამომძიებელმა რეგინა პაკმა ვერ შეძლო მტკიცებულებების მოპოვება, გამოცხადდა გამომძიებელთან და დანაშაული აღიარა. შემდეგ მან დაიჩოქა და გამომძიებელს სიყვარულში გამოუტყდა.

მსგავსი კურიოზი მოხდა კრასნოდარის სასამართლოში, რომელსაც ბედნიერი დასასრული ჰქონდა. ახალგაზრდა მამაკაცს დანაშაულისკენ ქალის გაცნობის სურვილმა უბიძგა. ამის გამო, მან ქალის საცხოვრებელი სახლის გაქურდვა გადაწყვიტა. იგი ქურდობის ბრალდებით დააპატიმრეს. მან სასამართლოს განუცხადა, რომ დანაშაულის ჩადენის მიზეზი რომანტიკული სურვილი გახდა - გაქურდული სახლის დიასახლისი მსგავსი ექსტრავაგანტული საქციელით გაეცნო. რომანტიკოსმა ქურდმა მისი რჩეული სასამართლოზე გაიცნო, სადაც დამეგობრდნენ კიდეც. სასამართლომ დაზარალებულის თხოვნა - ბრალდებულისთვის დანაშაული ეპატიებინათ მხედველობაში მიიღო და რომანტიკოსს პირობითი სასჯელი მიუსაჯეს. პროცესის დასრულების შემდეგ რომეო-მძარცველმა და დაზარალებულმა-ჯულიეტამ სასამართლოს შენობა ერთად დატოვეს.

# ბრიტანეთში პარლამენტართა ხარჯები გამოაქვეყნეს

გუშინ ინტერნეტში ოფიციალურად გამოაქვეყნეს პარლამენტის, უფრო ზუსტად, თემთა პალატის დეპუტატთა ხარჯები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. პალატის კანცელარიამ ამის გაკეთება დეპუტატთა ხარჯების გამო აგორებული სკანდალის შემდეგ გადაწყვიტა. დეპუტატთა ხარჯები ინგლისში მაისიდან მოყოლებული ერთ-ერთი მთავარი თემაა და ამას უკვე მოჰყვა პარლამენტის რიგი დეპუტატების, მათ შორის თემთა პალატის სპიკერის და მთავრობის რამდენიმე წევრის გადადგომა (ამის შესხებ უკვე წერდა "24 საათი"). კაბინეტი საგრძნობლად გადახალისდა, ბევრი პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის გადადგომასაც მოითხოვდა, მაგრამ მან თანამდებობა შეინარჩუნა და განაცხადა, რომ საჭიროდ მიაჩნია, თვითონ გაუმკლავდეს კრიზისს.

ზოგიერთმა დეპუტატმა იმ ფულის დაბრუნება გადაწყვიტა, რომელიც ბიუჯეტიდან სხვადასხვა მიზნებისთვის მიიღო. დაბრუნებულმა თანხამ, საბოლოო ჯამში, 300 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი (დაახლოებით, 480 ათასი დოლარი) შეადგინა. თემთა პალატის


გორდონ ბრაუნმა თანამდებობა შეინარჩუნა

AFP' 2009

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიღებულია დამატებითი ზომები, რათა პარლამენტის ინტერნეტსაიტმა დეპუტატთა ხარჯების გაცნობის მსურველთა ნაკადს გაუძლოს. ნებისმიერ მსურველს შეუძლია იმის ნახვა, თუ რაში გადახდილი თანხა აუნაზღაურეს 2004 წლიდან 646 დეპუტატს.

კანონის მიხედვით, დეპუტატებს უფლება აქვთ დახარჯონ: 24 ათას გირვანქა სტერლინგამდე "მეორე სახლისთვის", 22 193-მდე - ოფისის შენახვისთვის; 10 400 გირვანქა სტერლინგამდე - ინტერნეტსაიტის შესანახად, საფოსტო ხარჯების, ბუკლეტებისა და საკანცელარიო ნივთებისთვის. ხარჯები სამ კატეგორიად იყოფა, მაგრამ მთავარი ყურადღება დაეთმობა ე.წ. "მეორე საცხოვრებელს" - ბინას ან სახლს, რომელსაც სახალხო რჩეულები სამსახურებრივი მიზნებისთვის იყენებენ.

წესების თანახმად, დეპუტატებს უფლება აქვთ, მიუთითონ იმ სახლის მისამართი, სადაც ისინი ძირითადად ცხოვრობენ, ასევე მიუთითონ "მეორე ბინა", რომლის ხარჯებიც ბიუჯეტიდან ანაზღაურდება. ანაზღაურება ეხება საიჯარო თანხას, იპოთეკური კრედიტის პროცენტს, სახლის კეთილმოწყობას და პროდუქტებს. ამასთან ხარჯების საერთო თანხამ წლიწადში 23 ათას გირვანქა სტერლინგს არ უნდა გადააჭარბოს.

გაზეთ "დეილი ტელეგრაფში" (სამსახურებრივი სარგებლობის დოკუმენტი მათ ჩაუვარდათ ხელში), დაახლოებით, ერთი თვის მანძილზე ქვეყნდებოდა ჟურნალისტური გამოძიების მასალები იმის შესახებ, თუ როგორ ბოროტად იყენებდა ამ უფლებას ზოგიერთი დეპუტატი. ზოგიერთები თავიანთ ძირითად მისამართს ცვლიდნენ, ბიუჯეტიდან დამატებით ფულს იღებდნენ და ამას სხვადასხვა სახლების კეთილმოწყობას ახმარდნენ.

ამჟამად ხარჯების საკითხს სპეციალური კომიტეტი იკვლევს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს რეკომენდაციები ამ სფეროში არსებული წესების შესაცვლელად. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა, რომ პარლამენტის მუშაობის რეფორმის ფარგლებში დეპუტატთა დამატებითი ხარჯების საკითხი დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით უნდა გადაწყდეს.

*"ბი-ბი-სის" მიხედვით მოამზადა*
*ივა შილაკაძემ*

# საპროტესტო აქციები ლატვიაში

ხათუნა გაბიევი

ეკონომიკური კრიზისის ფონზე ლატვიის ხელისუფლების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მოსახლეობის ნაწილს ქუჩაში საპროტესტო აქციების გამართვისკენ უბიძგა. ქვეყნის დედაქალაქში დემონსტრაცია გამართა თავისუფალი პროფესიული კავშირების ხუთი ათასმა წარმომადგენელმა, რომლებმაც მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი შესწორებები გააპროტესტეს. ლატვიის ხელისუფლება სოციალური სფეროს ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 500 მლნ ლატით (დაახლოებით, 1 მლრდ აშშ დოლარით) შემცირებას გეგმავს - ანუ თანხები ჩამოიჭრება პენსიებზე, სოციალურ დახმარებაზე, განათლების, მედიცინისა და უსაფრთხოების სექტორებში.




AFP' 2009

მომიტინგეთა შორის იყვნენ მასწავლებლები, ექიმები, პოლიციის წარმომადგენლები, პენსიონერები და უნარშეზღუდული პირები. საბიუჯეტო სექტორზე დამოკიდებული უკმაყოფილო მოსახლეობა აქციაზე პარლამენტის და მთავრობის გადადგომას მოითხოვს. ანალოგიური ტიპის აქციები ქვეყნის სხვა ქალაქებშიც მიმდინარეობს.

რიგის ცენტრში შეკრებილ მომიტინგეებთან ფინანსთა მინისტრი ეინარს რეპშე მივიდა, მაგრამ მას დემონსტრანტებმა საჯარო გამოსვლის ნება არ მისცეს. ფინანსთა მინისტრმა მხოლოდ მობოდიშება მოასწრო ხელისუფლების მიერ მიღებული მკაცრი ეკონომიკური ზომების გამო.

**"ჩვენ, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ გვქონდა, სხვაგვარად ქვეყანა გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდებოდა,"** - განაცხადა რეპშემ.

მწვავე ეკონომიკური კრიზისგან თავის დასაღწევად ლატვიის ხელისუფლება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისგან კრედიტის სახით 7.5 მლრდ ევროს ელის. დახმარების მისაღებად კი ოფიციალურ რიგას ეკონომიკური ვითარების სტაბილიზაციის პროგრამის შემუშავება მოუხდა.

ივნისის განმავლობაში ხელისუფლებამ უკვე ორჯერ მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილება. უკანასკნელი შესწორების თანახმად, პენსიები შემცირდება 10 პროცენტით, დასაქმებული პენსიონერების პენსია - 70 პროცენტით, საბიუჯეტო სექტორზე დამოკიდებული ყველა სხვა დანარჩენისთვის ხელფასი 20 პროცენტით, ხოლო სამუშაოს მქონე მშობლებისთვის სოციალური დახმარებები 50 პროცენტით შეიკვეცება.

სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი შესწორება მიმდინარე წლის 1 ივლისიდან შევა ძალაში. როგორც ლატვიის პრემიერ-მინისტრმა ვალდის დომბროვსკისმა განაცხადა, ბიუჯეტში შეტანილი შესწორებები საერთაშორისო დონორებისგან მომდევნო ტრანშის მიღების გარანტიაა.

# ჩრდილოკორეული საფრთხე ჰავაის კუნძულებისთვის

იაპონიის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 4-8 ივლისს ჩრდილოეთ კორეამ შესაძლოა, ჰავაის კუნძულების მიმართულებით შორი რადიუსის ბალისტიკური რაკეტა გაუშვას. გაზეთ "იომიური" ინფორმაციით, ამომავალი მზის ქვეყნის სამხედრო უწყება ვარაუდებში საკუთარ ანალიზსა და ამერიკული სადაზვერვო თანამგზავრებისგან მიღებულ მონაცემებს ეყრდნობა.

კოსმოსური დაზვერვის მონაცემებით, 30 მაისს ჩრდილოეთ კორეის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტონჩან-რის გამშვებ პოლიგონზე სპეციალური მატარებლით შორი მოქმედების რადიუსის ბალისტიკური რაკეტის კომპონენტები ჩაიტანეს, რომლის პირობითი სახელია "ტეპჰოდონ 2". ექსპერტთა ვარაუდით, იგი პარამეტრებით იმ რაკეტის შესაბამისია, რომელიც ოფიციალურმა ფხენიანმა მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში გაუშვა.

მაშინ "ტეპჰოდონ 2"-მა იაპონიას გადაუფრინა და 3.2 ათასი კილომეტრის დაფარვის შემდეგ წყნარი ოკეანის ღია წყლებში ჩავარდა. ოფიციალური ფხენიანის მტკიცებით, მათ მხოლოდ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი გაუშვეს, მაგრამ ამერიკელი სპეციალისტები ფიქრობენ, რომ რაკეტა ტექნიკურად გაუმართავი იყო და მისი მესამე საფეხურის გამოყოფა ვერ მოხდა.

იაპონიის თავდაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ "ტეპჰოდონ 2"-ის ან მისი მოდერნიზებული ვარიანტის ხელახლა გაშვება შესაძლოა მოხდეს ჰავაის მიმართულებით ალმოსავლეთით ან სამხრეთით შეერთებული შტატების კუთვნილ კუნძულ გუამის მიმართულებით ან სულაც იაპონურ კუნძულ ოკინავას მიმართულებით, სადაც მნიშვნელოვანი ამერიკული სამხედრო ობიექტებია განთავსებული.

ოკინავას შემთხვევაში რაკეტის პირველი ამაჩქარებელი საფეხური ჩინეთის მახლობლად ყვითელ ზღვაში ჩავარდება, რამაც შესაძლოა ოფიციალური პეკინის ძლიერი გაღიზიანება გამოიწვიოს.

გუამის მიმართულებით გაშვების შემთხვევაში რაკეტა შესაძლოა სამხრეთ კორეის მჭიდროდ დასახლებულ რაიონში ან იაპონიაში ჩამოვარდეს. იაპონიის თავდაცვის უწყებას ასეთი მარშრუტები ნაკლებად დამაჯერებლად ეჩვენება.

იაპონელი სპეციალისტები აქცენტს უფრო მეტად ჰავაის მიმართულების მარშრუტზე აკეთებენ. ამ შემთხვევაში რაკეტა იაპონიას გადაუფრენს, თანაც სავარაუდოდ, პირველ საფეხურს იაპონიის ზღვაში დაკარგავს.

"ტეპჰოდონ 2"-ის სიშორის რადიუსს 4-6.5 ათასი კმ-ით ვარაუდობენ, ჰავაიმდე მანძილი კი თითქმის 7 ათასი კილომეტრია.

ოფიციალური ფხენიანის სიმბოლიზმისადმი სიყვარულის გათვალისწინებით, იაპონიის თავდაცვის უწყება არ გამორიცხავს, რომ რაკეტის გაშვება 4 ივლისს მოხდეს, როცა ამერიკის შეერთებული შტატები ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს. თუმცა, არსებობს მეორე ვერსიაც - 8 ივლისი, ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დამაარსებელ კიმ ირ სენის გარდაცვალების დღე. კიმ ირ სენი ქვეყნის ამჟამინდელი ლიდერ კიმ ჩენ ირის მამაა.

# საიდუმლო წერილი ნეჯადის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ამგვარად, ხმის მიცემის ოფიციალურად გამოცხადებული შედეგები გაყალბებულია.

შედეგების გაყალბების შესახებ ოპოზიციამ არჩევნების დასრულებისთანავე განაცხადა, რაც შემდეგ თეირანში მასობრივი საპროტესტო გამოსვლების დაწყების მიზეზი გახდა, რომელთა შედეგად, ზოგიერთი წყაროს ცნობით, რვა ადამიანი გარდაიცვალა. საბოლოოდ, თითქმის ერთკვირიანი დემონსტრაციების შემდეგ ხელისუფლება ხმების ხელახლა დათვლას დათანხმდა.

მირ ჰოსეინ მუსავის მხარდამჭერები ბოლო არეულობის დროს დაღუპულ ადამიანთა ხსოვნის პატივსაცემად მსვლელობის გამართვას გეგმავენ, რომელსაც, გავრცელებული ინფორმაციით, თავად ოპოზიციის ლიდერიც შეუერთდება. მუსავიმ თავის მხარდამჭერებს შავი ტანსაცმლის ჩაცმა სთხოვა იმ ადამიანების მიმართ პატივისცემის გამოსახატავად, ვინ ხელისუფლების ძალებთან შეტაკებების დროს გარდაიცვალა ან დაიჭრა.

მიუხედავად იმისა, რომ ოთხშაბათის ხალხმრავალმა მიტინგმა პოლიციასთან შეტაკებების გარეშე ჩაიარა, ოპოზიცია ვარაუდობს, რომ მომავალ მიტინგზე აჰმადინეჯადის ხალხი პროვოკაციის მოწყობას შეეცდება, რათა შემდეგ



ირანში საპროტესტო გამოსვლები არ წყდება

AFP ' 2009

მშვიდობიანი დემონსტრაციის დაშლის საბაბი ჰქონდეთ.

მუსავიმ და ირანის ყოფილმა პრეზიდენტმა მოჰამედ ჰათამიმ ქვეყნის ხელისუფლებას ერთხელ უკვე გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მოითხოვდნენ, რომ სამართალდამცავებმა ძალის გამოყენებაზე უარი თქვან და არჩევნების შემდეგ დაკავებული ყველა პირი გაათავისუფლონ.

საპროტესტო აქციები მიმდინარეობს სხვა ქვეყნებშიც, სადაც ირანელები ცხოვრობენ. კონკრეტულად კი, ირანელ ემიგრანტთა მსვლელობა ამერიკაში გაიმართა. უკმაყოფილო ირანელებმა ირანის საელჩოდან რუსეთის ფედერაციის საელჩომდე მსვლელობა მოაწყვეს. ამგვარად გამოხატა ასამდე ემიგრანტმა თავისი დამოკიდებულება როგორც ირანში მიმდინარე მოვლენებისადმი, ასევე ეკატერინბურგში აჰმადინეჯადის კარგად მიღებისადმიც. ეკატერინბურგში ირანის მოქმედი პრეზიდენტი შანხაის ორგანიზაციის სამიტში მონაწილეობს. რუსეთში აჰმადინეჯადი ისე მიიღეს, როგორც არჩევნებში გამარჯვებული პრეზიდენტი. ხოლო ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ირანში მიმდინარე მოვლენები ქვეყნის შიდა საქმეა.

# ოპოზიცია ლუკაშენკოს უპირისპირდება

პირველი გვერდიდან

**ამჟამად აზრი ორად არის გაყოფილი - ზოგი ფიქრობს, რომ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა აუცილებელია და ზოგს ეს შეუძლებლად მიაჩნია. ახლა ამ ორ რადიკალურ მიმართულებას შორის სწორედ იმ ძალების კონსოლადიაცია ხდება, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქვეყანაში არა დეკორაციული, არამედ რეალური ცვლილებები უნდა განხორციელდეს,"** - მიაჩნია კოზულინს.

ალექსანდრ კოზულინი 2006 წელს ხულიგნობისთვის გაასამართლეს და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ 2008 წლის 16 აგვისტოს ის პრეზიდენტმა შეიწყალა. კოლონიიდან გამოსვლისთანავე ოპოზიციონერმა განაცხადა, რომ 2011 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.

ბელარუსის ოპოზიციის აზრი იმ საკითხში იყოფა, შესაძლებელია თუ არა ქვეყანაში არსებული რეჟიმის დემოკრატიზაცია არსებულ საგარეო პოლიტიკურ პირობებში. ამაზე კოზულინის მსგავსი პოზიცია აქვს ევროპული კოალიციის" კოორდინატორ ნიკოლაი სტატკევიჩს. **არსებობს ზოგი პოლიტიკური სტრუქტურა, სადაც მიაჩნიათ, რომ ევროპას შეუძლია ლუკაშენკოს დარწმუნება, რომ დემოკრატი გახდეს,"** - განმარტავს ის. ამ შეხედულების მოწინააღმდეგეები კი ფიქრობენ, რომ ქვეყნის დემოკრატიზაციაზე თავად უნდა იზრუნონ.



ლუკაშენკო ოპოზიციას ქვეყნის მტრებს უწოდებს

AFP ' 2009

ოპოზიცია ხშირად ადანაშაულებს ლუკაშენკოს ეკონომიკის კრახის პირას ქვეყნის მიყვანაში. **რეფორმების არარსებობამ და ბიუჯეტის რუსულ სახსრებზე დამოკიდებულებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ახლა ბელარუსის ეკონომიკას განადგურება ემუქრება,** - დარწმუნებულია ეკონომისტი მიხაილ ზალესკი, - **ასეთ ვითარებაში მთავრობა აშკარად დაიბნა და არ იცის, რა გააკეთოს."**

მაისში ალექსანდრ ლუკაშენკო ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებდა, რომ მზად არის, ოპოზიცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში ჩართოს. **თუ ჩვენს ქვეყანაში არიან მოქალაქეები, რომლებსაც შეუძლიათ, რამენაირად გადაჭრან ჩვენი ხალხის ინტერესებში შემავალი ნებისმიერი პრობლემა, ჩვენ დიდი სიამოვნებით ჩავრთავთ მათ ამ პროცესში,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

ლუკაშენკო აღნიშნავს, რომ მსგავსი თანამშრომლობის დამალვა არ ღირს." **ბევრი ოპოზიციონერი პრეზიდენტთან დაახლოებული პირების მეშვეობით ჩუმად აცხადებს ამისთვის მზადყოფნას. ზოგი კრიზისის საკითხზე მთავრობაში მუშაობას ითხოვს,"** - განაცხადა მან. **მოდით, ყველამ სპეციალობით დაიწყეთ მუშაობა,** - მოუწოდა ლუკაშენკომ ოპონენტებს, - **ჩვენ კი დაგაკვირდებით და სწრაფად დაგაწინაურებთ, თუ ამას დაიმსახურებთ."**

ამავდროულად პრეზიდენტმა გააკრიტიკა ოდიოზური ადამიანები, რომლებსაც არაფერი შეუძლიათ", მაგრამ ითხოვენ, რომ დასავლეთმა ბელარუსს ზურგი შეაქციოს. **ისინი ოპოზიციონერები კი არა, სახელმწიფოს მტრები არიან, რადგან აკეთებენ იმას, რაც ნებისმიერ სახელმწიფოში, ყველაზე დემოკრატიულშიც კი მიუღებელია,"** - განაცხადა ლუკაშენკომ ხალხისა და პარლამენტისადმი ყოველწლიურ მიმართვაში.

ბოლო დროს ბელარუსის ხელისუფლება აქტიურად ცდილობს ევროკავშირთან თანამშრომლობას. **ბელარუსის იზოლაციის პოლიტიკა, რომელსაც ევროკავშირი ბოლო წლებში ატარებდა, მცდარი იყო და ეს ჩვენ ბევრჯერ დავამტკიცეთ. ახლა კი მათ სიბრძნე გამოავლინეს და ერთობლივი მიზნების მისაღწევად თანამშრომლობა გადაწყვიტეს,"** - აცხადებს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი მარტინოვი.

ამავე დროს მარტინოვი უარყოფს არჩევნების გამო ეუთო-ს მიერ გამოთქმულ კრიტიკას და აცხადებს, რომ **ბელარუსში პოლიტიკური შეხედულებების გამო არავის აპატიმრებენ: ოპოზიციონერები ციხეში დანაშაულებრივი ქმედებების გამო ხვდებიან."**

# რევიუ



ნორვეგიის თანამედროვე ცეკვის დასი Carte Blanche ევროპულ ტურნეს მართავს. ამჯერად დასი სპექტაკლ Killer Pig-ს წარმოადგენენ, რომლის მთავარი ქორეოგრაფიც შარონ ეიალია. გერმანიაში მიმდინარე ფესტივალ Ludwigsburg-ზე Carte Blanche ვარსკვლავის სტატუსითაა მიწვეული.

## შონ პენმა ოჯახი არჩია

ორი პრემია "ოსკარი"-ს მფლობელმა შონ პენმა, ერთდროულად ორ პროექტში მონაწილეობაზე თქვა უარი. Variety-ის ინფორმაციით, მსახიობის განცხადება, მისმა წარმომადგენლებმა გაავრცელეს: იგი უარს ამბობს მონაწილეობა მიილოს ფილმ "კარტელისა" და კომედია "სამი ჩერჩეტის" გადაღებებში. თავად მსახიობი, თავის გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ სურვილი აქვს, უფრო ოჯახურ საქმეებზე იყოს ორიენტირებული.

პირველ ფილმში, რომელიც 1993 წელს გამოშვებული ფილმის La Scorta-ს არაპირდაპირი რიმეიქი უნდა გამხდარიყო, პენის გმირს შეუბრალებელი მექსიკელი კრიმინალური კარტელებისგან საკუთარი შვილი უნდა დაეცვა, რომლებმაც ოდესღაც მისი ცოლი მოკლეს. როგორც მოსალოდნელია, ფილმის გადაღებები 2009 წლის ზაფხულში დაიწყება.

მეორე პროექტი, გასული საუკუნის შუა წლების პოპულარულ მოკლემეტრაჟიანი ფილმების სერიაზე უნდა დაფუძნებულიყო. სამი



ჩერჩეტი მეგობრის - ლარის, კერლის და მოს როლები, შონ პენს, ჯიმ კერისა და ბენისიო დელ ტოროს უნდა ეთამაშათ. სტუდიამ, რომლისთვისაც პენის უარი სიურპრიზი აღმოჩნდა, შემცვლელის ძებნა უკვე დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის გაზაფხულზე, შონ პენმა დაასრულა გადაღება ფილმში - "პატიოსანი თამაში", რომელიც ცსს-ს ყოფილი თანამშრომლის ვალერი პრეიმის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციის გასაიდუმლოებული წევრების ისტორიას მიეძღვნა. თავად პლეიმის როლი ნაომი უოტსმა შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ ამ წელს გამართულ პრემია "ოსკარის" დაჯილდოების ცერემონიაზე, პენმა ოქროს სკულპტურა, გას ვან სენტის ფილმ "ჰარვი მილკში" შესრულებული მთავარი როლისთვის მიიღო. ფილმი ამერიკის პირველ პოლიტიკოსზე - ჰარვი მილკზე მოგვითხრობს, რომელმაც საკუთარი ჰომოსექსუალური ორიენტაცია საქვეყნოდ აღიარა. იგი ქალაქის მმართველობაში იქნა არჩეული და ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების უფლებების კანონპროექტის მიღება მოითხოვა. გარდა ამისა, შონ პენმა მონაწილეობა მიიღო კამპანიაში, რომლის მიზანს კალიფორნიაში ჰარვი მილკის დაბადების დღის ოფიციალურ დღესასწაულად აღიარება წარმოადგენდა. პენი სენატორ მარკ ლინოს (Mark Leno) მიერ ორგანიზებულ სპეციალურ კონფერენციაზეც გამოვიდა, რომლებიც უკვე მრავალი წელია შესაბამისი კანონის მიღებისთვის იბრძვიან. სენატორის თქმით, ჰარვი მილკის დაბადების დღე 22 მაისს აღინიშნება. კანონპროექტის ავტორები ცდილობენ ამერიკული პოლიტიკის ისტორიაში ცვლილებები შეიტანონ, რომელიც სასკოლო პროგრამებში აღიარებული არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას შეეხება. ერთი წლის წინ კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცნეგერმა ვეტო დაადო ანალოგიურ კანონპროექტს. შვარცნეგერის აზრით, მილკის მიმდევრებმა დღესასწაული მხოლოდ სანფრანცისკოში უნდა აღნიშნონ და არა მთელი შტატის ფარგლებში.



### ნომინაცია წლის საუკეთესო პროზაული კრებული

1. გურამ მეგრელიშვილი, **მრავალჯერადი ბოთლები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. მაკა მიქელაძე, **წეროს ჯვარი** (სიესტა)
3. გიგი სულაკაური, **თამაში რევოლვერით** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. არჩილ ქიქოძე, **მყუდრო** (საარი)
5. გელა ჩქვანავა, **დაუმთავრებელი ამბავი** (დიოგენე)

### ნომინაცია წლის საუკეთესო პოეტური კრებული

1. დალილა ბედიანიძე, **ფიქრდიდობა** (სიესტა)
2. ბათუ დანელია, **MIRABILIS VITA** (ინოვაცია)
3. გიორგი ზანგური, **წიგნი** (შემეცნება)
4. გიორგი მირზაშვილი, **ლექსები** (სიესტა)
5. მაკა მიქელაძე, **ბარათი** (სიესტა)
6. ჯუანშერ ტიკარაძე, **უკუქცევა** (დიოგენე)
7. ნიკა ჯორჯანელი, **სუნთქვა ხუთვისას** (დიოგენე)
8. ტარიელ ხარხელაური, **მინდვრის ფსალმუნები** (ეროვნული მწერლობა)

### ნომინაცია წლის საუკეთესო რომანი

1. ლაშა ბუღაძე, **კარიკატურისტი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. თეონა დოლენჯაშვილი, **მემფისი** (სიესტა)
3. აკა მორჩილაძე, **მესაიდუმლის ქამარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. გურამ ოდიშარია, **პრეზიდენტის კატა** (უნივერსალი)
5. დავით ქართველიშვილი, **ახალი წიგნი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
6. დათო ჩიხლაძე, **ფემინინე** (სიესტა)
7. თამაზ ჭილაძე, **ბრეიგელის მთვარე** (პეგასი)

### ნომინაცია წლის საუკეთესო პიესა

1. ლაშა ბუღაძე, **ნაფტალინი** (წიგნის სახელოსნო)
2. ირაკლი სამსონაძე, **ყოფილების სარეცელი** (ჟურნ. "ჭოროხი", N5, 2008)
3. ბასა ჯანიკაშვილი, **სულიკო** (სიესტა)

### ნომინაცია წლის საუკეთესო თარგმანი

1. მაია ბადრიძე, რობერტ მუზილის **"უთვისებო კაცი"** (დიოგენე)
2. მანანა გიგინეიშვილი, **დიდება შენდა** (პეგასი)
3. გიორგი ეკიზაშვილი, დანიელ ტენაკის **"ძაღლი, ძაღლი"** (აგორა)
4. მაგალი თოდუა, **სპარსული პოეზიის შედევრები** (უნივერსალი)
5. დავით კახაბერი, ანდრე ჟიდის **"ყალბი ფულის მჭრელები"** (ინტელექტი)
6. ასმათ ლეკიაშვილი, ემილი ბრონტეს **"ქარიშხლიანი უღელტეხილი"** (არეტე)
7. ირმა რატიანი, **100 უძველესი იაპონური ლექსი** (სიესტა)
8. გიორგი ქაჯაია, გალიუს სალუსტიუს კრისპუსის **"თხზულებები"** (ლოგოსი)
9. თეა შურღაია და მზია ბურჯანაძე, თანამედროვე სპარსული პროზა **"14 სევდიანი ამბავი"** (უნივერსალი)
10. ზაზა ჭილაძე, კენ კიზის **"გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა"** (დიოგენე)
11. ირაკლი ჯავახაძე, სერგეი დოვლატოვის **"ჩემოდანი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
12. პაატა ჯავახიშვილი, მილან კუნდერას **"გამოსათხოვარი ვალსი"** (დიოგენე)

### ნომინაცია წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

1. ლევან ბრეგაძე, **მოთხრობები ლიტერატურაზე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. რეზო ესაძე, **ბიალონი - კინორეჟისურის შესახებ** (კენტავრი)
3. გოგი ხორნაული, **ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი** (ეროვნული მწერლობა)
4. რევაზ გაჩეჩილაძე, **ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა**
5. ზაზა ფირალიშვილი, **ფრაგმენტული მედიტაციები იერონიმუს ბოსხის მხატვრობის შესახებ** (კავკასიის საზ. სტრატეგიათა ინსტიტუტი)
6. ლამარა კიკილაშვილი, **სახსოვარი** (თეთრი გიორგი)
7. გიორგი ლობჟანიძე, **მუჰამედის ცხოვრება** (კავკასიური სახლი)
8. დათო ტურაშვილი, **ჯინსების თაობა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

### ნომინაცია წლის საუკეთესო დებიუტი

1. დიანა ანფიმიადი, **შოკოლადი** (სიესტა)
2. ხათუნა თავდგირიძე, **Homo Totus** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ნიკა თევზაძე, **დეტექტივის თავგადასავალი** (ზეკარი)
4. ლევან კავლელი, **ინდოჩინეთი** (სიესტა)
5. გიორგი კეკელიძე, **ოდები** (სიესტა)
6. ლადო კილასონია, **ლობე** (საარი)

# ო ჰენრი, ჟიდი, კენო - პირველად ქართულ ენაზე

## გაიცანით "ააფ მენეჯმენტის" გამოცემები წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე

ია ვეკუა

წარმოიდგინეთ ტიპიური ოფისი, თეთრი კედლები, მკაცრი დიზაინის ავეჯი, მინის კედლები და ციფრებით გაჟღენთილი გარემო. ეს აუდიტურ კონცერნ "ცოდნისას" შემადგენელი კომპანია "ააფ მენეჯმენტია", რომელიც ორ პროფესიულ ჟურნალს და რაც უნდა საკვირველი იყოს, მხატვრულ ლიტერატურასაც გამოსცემს. მისი გამოცემების უკეთესად გაცნობის საშუალება ივნისის ბოლოს დაგეგმილ თბილისის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე მოგეცემათ. მანამდე კი მოკლედ გაგაცნობთ "ააფ (აუდიტი, აღიცხვა, ფინანსები) მენეჯმენტის" საგამომცემლო საქმიანობას, რომელსაც საკმაოდ საინტერესო, ლამის მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტთან მიახლოვებული ისტორია აქვს.

ამჯერად გამომცემლობას მხოლოდ შვიდი წიგნი აქვს გამოცემული, რომლებიც ორ სერიად იყოფა: "XX საუკუნის მწერალი" და "ქართულად ნათარგმნი მსოფლიო საგანძური". ყველაფერი კი ამ უკანასკნელის მთავარი მოქმედი გმირის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ბატონ ზურაბ ცერცვაძის დამსახურებაა, რომელმაც 65 წლის ასაკში მთლიანად შეცვალა საკუთარი ცხოვრება და უკვე რამდენიმე წელია სრულიად განსხვავებულ სამყაროში ცხოვრობს. როდესაც ზურაბ ცერცვაძე პენსიაზე გავიდა და აქტიურ ცხოვრებას მეტ-ნაკლებად ჩამოშორდა, სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და მეუღლის, ინგლისური ენის სპეციალისტის დახმარებით, ენის შესწავლა დაიწყო. ინგლისურს საკმაოდ მოკლე დროში დაეუფლა, რაც მისი ასაკის ადამიანისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია. თანაც დაეუფლა ისე, რომ შეეძლო ტექნიკური ლიტერატურის თარგმნა. "ვთარგმნიდი სამეცნიერო ტექსტებს, ასევე ვთანამშრომლობდი გაზეთ "რეზონანსთან", სადაც ჟურნალისტური ხასიათის თარგმანებს ვბეჭდავდი. ბოლოს კი ო ჰენრის დრო მოვიდა..." - იხსენებს ზურაბ ცერცვაძე.







ო ჰენრის პირველი ნოველა სრულიად შემთხვევით, აგარაკზე მყოფი შვილიშვილისთვის თარგმნა. მოთხრობა კი პატარა გოგონას გარდა მისმა მეორე ბებიამ, შტეფან ცვაიგისა და თომას მანის ცნობილმა მთარგმნელმა და რედაქტორმა, წლების განმავლობაში გამომცემლობა "ნაკადულის" მთავარმა რედაქტორმა, აწ გარდაცვლილმა ნონა კალანდარიშვილმაც წაიკითხა. ზურაბ ცერცვაძის თარგმანის პირველი პროფესიონალი შემფასებელი სწორედ ის გახლდათ, ასეთი გამოცდილი ადამიანის შეფასება კი გადამწყვეტი აღმოჩნდა და ნელ-ნელა ო ჰენრის კიდევ 12 მოთხრობა ითარგმნა. მოთხრობების რედაქტირება საკუთარ თავზე ცხადია ნონა კალანდარიშვილმა აიღო, ცოტა ხანში კი ზურაბ ცერცვაძის თარგმანები წიგნად შეიკრა.

**გიორგი ცერცვაძე**, **"ააფ მენეჯმენტის" მთავარი რედაქტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ზურაბ ცერცვაძის ვაჟი:** "ცნობილია, რომ ო ჰენრის ნაწარმოებების თარგმნა საკმაოდ რთულია, მისი ტექსტი სავსეა სლენგით, კალამბურით, შედარებებით. მამამ შეძლო ამ სირთულის გადალახვა და მისი თარგმანი ორიგინალის ხასიათთან მიახლოვებული ნამუშევარი იყო. თანაც არსებობდა მთარგმნელობითი საქმიანობის მეტად კომპეტენტური ადამიანის, ნონა კალანდარიშვილის აზრიც, ამიტომ გადავწყვიტე, "ააფ მენეჯმენტის" გამომცემლობის სახელით პირველი მხატვრული კრებული გამომეშვა - ო ჰენრის "მოგვთა საჩუქრები". წიგნი უამრავმა მკითხველმა მოიწონა და მთელი ტირაჟი უმოკლეს ვადაში გაიყიდა, გარდა ამისა, წიგნს ჩვენი ჟურნალების ხელმომწერებსაც ვჩუქნიდით. "მოგვთა საჩუქრების" წარმატებამ დიდი სიამოვნება მომანიჭა და გადავწყვიტე, საგამომცემლო საქმიანობისთვის სერიოზულად მომეკიდა ხელი."

მეორე წიგნი, ჯეკ ლონდონის მოთხრობათა კრებული "ზღაპრის დასასრული", ასევე ზურაბ ცერცვაძემ თარგმნა (ერთის გარდა ყველა მოთხრობა ქართულად პირველად ითარგმნა). ეს ნონა კალანდარიშვილის რედაქტორობით გამოსული ბოლო წიგნია. იგი კრებულის გამოსვლამდე გარდაიცვალა. ასევე ზურაბ ცერცვაძის მიერ თარგმნილი ჩარლზ დიკენსის "საშობაო მოთხრობების" რედაქტორი კი მწერალი ბაჩო კვირტიაა.

დროთა დანმავლობაში "ააფ მენეჯმენტმა" კიდევ ერთ მთარგმნელთან დაიწყო მუშაობა - ამჯერად ფრანგული ენიდან თარგმნა მაია ქაცანაშვილმა დაიწყო. მისი პირველი წიგნია რეიმონ რადიგეს "მაცდური სხეულში". რასაც მოჰყვა თანამშრომლობა დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრთან, რომლის დაფინანსებითაც გამოსცეს ნობელიანტი მწერლის, ანდრე ჟიდის "ვიწრო კარიბჭე". აღსანიშნავია, რომ მსოფლიო დიდების მიუხედავად, ამ ავტორის ნაწარმოებები აქამდე ქართულად თარგმნილი არ ყოფილა. "ვიწრო კარიბჭე" 2006 წელს გამოვიდა, ხოლო დიუმას ცენტრის აზრით იმდენად კარგი თარგმანი აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ მაია ქაცანაშვილს გრანტი გადასცა, რომელიც ერთი თვით პარიზში ცხოვრებას და ენის ცოდნის გაღრმავებას ითვალისწინებდა.

ამის მერე მაია ქაცანაშვილმა რეიმონ კენოს "ქალი არ უნდა გაანებივრო" თარგმნა (ასევე პირველად ქართულად). ეს არის მეტად თავისებური ხასიათისა და წყობის მქონე, იუმორით აღსავსე რომანი. აქ შეხვდებით პაროდიას რევოლუციებზეც, ქალის სივერაგეზეც და სხვა. "თარგმნისას ნაწარმოებს პრაქტიკულად თავიდან წერ, უბრალოდ სხვა ენაზე. უნდა მიხვდე, თავად ავტორი როგორ ისურვებდა ამ ფრაზის თარგმნას და სულ ესაა. ამჯერად რეიმონ კენოს "ლურჯ ყვავილებზე" ვმუშაობ - ეს მისი ყველაზე სერიოზული ნაწარმოებია. კენოს საინტერესო და რთული ენა აქვს, ბევრია სიტყვების თამაში. მისი თარგმნა ჩემთვის გამოწვევაც იყო და ერთგვარი აზარტიც - ვთარგმნიდი ასეთ რთულ ტექსტებს და თანაც პირველად ქართულ ენაზე".

ახალ თარგმანზე მუშაობს ზურაბ ცერცვაძეც. ამჯერად სკოტ ფიცჯერალდის მოთხრობებს აქართულებს. "ლიტერატურაზე ბავშვობიდან ვიყავი შეყვარებული, თუმცა ტექნიკური განათლება მივიღე და ცხოვრებაც შესაბამისად წარიმართა. 65 წლის ასაკში კი ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა და ლიტერატურის უსაზღვრო სამყაროში აღმოვჩნდი. როდესაც სათარგმნ მასალას ვარჩევ, ჩემთვის მთავარია, ნაწარმოებში ქრისტიანული მორალი იყოს ჩადებული. ალბათ მოვა დრო, როდესაც საკუთარ ნაწარმოებსაც დავწერ. არ მინდა ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, რომ ერთი ფილოსოფიურ-რელიგიურ-მხატვრული ნაწარმოები არ დავტოვო..." - ამბობს ზურაბ ცერცვაძე.

# დღეს ოპერისა და ბალეტის თეატრში...

## ეროვნული მუსიკალური ცენტრის საამაყო საკონცერტო სეზონი – დასრულებამდე

სოფო კილასონია

**- დღეს ეროვნული მუსიკალური ცენტრისთვის მნიშვნელოვანი დღეა... თქვენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გვეპატიჟებით. რას გვთავაზობთ ამ საღამოს?**

**ნიკა მემანიშვილი**: დღეს გვაქვს გია ყანჩელის საავტორო კონცერტი, რაც იმაში მდგომარეობს რომ შესრულდება მხოლოდ მისი ნაწარმოებები, ეს არის საგუნდო თხზულება იავნანა მზეს , რომელიც თბილისში პირველად სრულდება, პირველივე განყოფილებაში შემოგთავაზებთ ვალსბოსტონს - ნაწარმოებს ფორტეპიანოსა და სიმებიანი ორკესტრისთვის, სადაც მე ვუკრავ ფორტეპიანოს პარტიას და ასევე მიწევს დირიჟორობაც. მეორე განყოფილებაში აჟღერდება გია ყანჩელის ყველაზე სახელგანთქმული და ალბათ ყველაზე განსაკუთრებული თხზულება სტიქსი - ალტისა და ორკესტრისათვის. სპეციალურად ამ ნაწარმოებისთვის ლონდონიდან მოვიწვიეთ ახალგაზრდა ალტისტი, უკვე ძალიან წარმატებული მაქსიმ რისანოვი. რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ორკესტრებთან ერთად არაერთხელ აქვს შესრულებული ეს ნაწარმოები, ჩაწერა კიდეც დისკზე და გამოსცა, მაგრამ ახლა უკვე თბილისში, ავტორის სამშობლოში დაუკრავს. მოგეხსენებათ სტიქსის მიხედვით რუსთაველის თეატრში სტურუამ დადგა წარმოდგენა და ვერ ვიტყვი, რომ ეს მუსიკა დეფიციტურად ჟღერს საქართველოში, მაგრამ ამ ნაწარმოების საკონცერტო შესრულება, როგორც არის დაწერილი, მოხდა მხოლოდ 10 წლის წინ, როცა შედგა პრემიერა. დირიჟორობდა ჯანსუღ კახიძე და უკრავდა იურა ბაშმეტი, მე მაშინ ვენაში ვსწავლობდი, მაგრამ ჩამომიყვანეს თბილისში რათა დამეკრა როიალის პარტია, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის წამყვანი პარტია ნაწარმოებში, ჩათვალეს რომ მე ამ პრემიერაში აუცილებლად უნდა მიმეღო მონაწილეობა და ახლა ჩემთვის ძალიან სიმბოლურია რომ ამდენი ხნის შემდეგ, ნაწარმოები მეორედ სრულდება და ამჯერად მას მე ვდირიჟორობ, მის დასაკრავად კი ახალი თაობის მუსიკოსი ჩამოვიდა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ კონცერტამდე ერთი კვირით ადრე სპეციალურად ჩამოვიდა ავტორი, გია ყანჩელი, რომელიც ესწრებოდა რეპეტიციებს. განსხვავებით იმ წინა კონცერტისგან, რომელიც გია ყანჩელის კინოსა და თეატრისთვის დაწერილი მუსიკის საღამოს წარმოადგენდა, როცა ყველაფერი გავაკეთე რომ ბატონი გია არ დასწრებოდა რეპეტიციებს და პირდაპირ კონცერტზე მოესმინა, რადგან ეს იყო ერთგვარი მიძღვნა, ჩვენი ვერსიები მისი მუსიკის მიხედვით, ამჯერად მისი ყოფნა ძალიან გვეხმარებოდა.

**- რატომ ოპერის თეატრში და არა ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში?**

- თავიდან გვინდოდა ჩვენს დარბაზში ჩატარება, მაგრამ ჩავთვალეთ რომ საქართველოში გაცილებით მეტი ადამიანია, ვისაც სურვილი გაუჩნდება დაესწროს გია ყანჩელის საავტორო კონცერტს. ჩემს უახლოეს მეგობარს დათო საყვარელიძეს ვთხოვე რომ ოპერის თეატრში ჩატარებულიყო ჩვენი კონცერტი. ჩვენ არ გვაქვს საშუალება იჯარის თანხის გადახდის და ამიტომაც სხვა ტიპის მოლაპარაკების საფუძველზე შემოვედით ოპერისა და ბალეტის თეატრში.



**- რა პრინციპით შეირჩა რეპერტუარი დღევანდელი კონცერტისთვის?**

- რეპერტუარი შეირჩა უცნაურად, მინდოდა რომ ეს ნაწარმოებები სხვადასხვა კონცერტებში ცალ-ცალკე შესულიყო, მაგრამ თბილისში სტაბილური არაფერია, პროგრამა შეიცვალა, კონცერტები გადანაცვლდა და შესაბამისად ჩემი სურვილი ამ ნაწარმოებების შესრულებისა ერთად მოგროვდა. ანტვერპენში დავურეკე ბატონ გიას და ვუთხარი, რომ საქმე ისე გამოდიოდა ჩანაფიქრი მის საავტორო კონცერტს ემსგავსებოდა, მან მაშინ ჩემთვის დაუვიწყარი სიტყვები თქვა, იქ, სადაც შენ ხელმძღვანელობ ჩემი მუსიკის შესრულებას, მე საწინააღმდეგო არასოდეს არაფერი მაქვსო . რა თქმა უნდა ამ საამაყო სიტყვებით შევუდექით დღევანდელი კონცერტისთვის მუშაობას.

**- წლევანდელი საკონცერტო სეზონი ეროვნული მუსიკალური ცენტრისთვის დღევანდელი კონცერტით სავარაუდოდ დასასრულს უახლოვდება...**

- დასასრულს არა, ჩვენ ამ კონცერტით სეზონს არ ვხურავთ, ვინაიდან დაგეგმილი გვაქვს რამოდენიმე კონცერტი, მათ შორის ივნისის ბოლოს არის ევგენი მიქელაძის დაბადების დღე და ტრადიციულად ამ თარიღს ღონისძიებით აღნიშვნას ვაპირებთ. ჩვენ შეთანხმებულნი ვართ ნიჭიერთა ათწლედთან და ამჯერად ჩვენი სოლისტები იქნებიან ათწლედის საუკეთესო მოსწავლეები და ისინი გამოვლენ ორკესტრთან ერთად. აგრეთვე ჩვენი გუნდის მთავარი დირიჟორი, არჩილ უშვერიძე, ის, რომელმაც გუნდი მოამზადა თუნდაც დღევანდელი კონერტისთვის, თავის დებიუტს გამართავს უკვე როგორც ორკესტრის დირიჟორი უკვე ჩვენს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან. მალე გერმანიაში გასტროლი გვექნება და ამ გასტროლის შემდეგ ვიწყებთ რეგიონალურ ტურნეს. ყველგან ჩავატარებთ კონცერტებს, სადაც სიმფონიური ორკესტრისთვის შესაძლებელი გახდება სივრცის გამონახვა. კიდევ უფრო გვიან, აგვისტოს ბოლოს ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით და ჩვენი ცენტრის თანაორგანიზატორობით ვგეგმავთ ფესტივალს ბათუმში და ბორჯომში. ცენტრში გაერთიანდა ის კამერული ორკესტრიც, რომელსაც აქამდე ლიანა ისაკაძე ხელმძღვანელობდა, მიხარია, რომ მასთან მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს და სამომავლოდაც გაგრძელდება. ანუ ფაქტობრივად გამოვიდა რომ ეს სეზონი გადაებმევა შემდეგ სეზონს, წერტილს არ ვსვამთ, მაგრამ ალბათ ცუდი არაა რომ ზაფხულსაც ვიყენებთ და აქტიურად ვმუშაობთ. თუმცა, სიმბოლური მაინც ისაა, რომ წლევანდელი სეზონი მაინც დღევანდელი კონცერტი დაგვირგვინება.

**- ჩემი აზრით, ძალიან აქტიური წელიწადი გქონდათ, იქნებ მნიშვნელოვანი მოვლენები გამოვკვეთოთ, პროცესები დავინახოთ და შევეცადოთ შევაჯამოთ.**

- მართლაც ძალიან დატვირთული იყო ეს სეზონი, დავიწყოთ მაინც თავიდან - ასეთივე ხმაურიანი გახსნა გვქონდა ოქტომბერში, როდესაც ასევე გია ყანჩელის მე-4 სიმფონია შევასრულეთ. ამ კონცერტში ასევე განსაკუთრებული იყო ჩვენი სოლისტი, ხატია ბუნიათიშვილი, რომელიც ბრწყინვალე პიანისტია და მან მაშინ დაუკრა ბრამსის მეორე საფორტეპიანო კონცერტი. ძალიან სადღესასწაულოდ და მაღალმხატვრულად გაიხსნა წლევანდელი ჩვენი საკონცერტო სეზონი, რასაც მოჰყვა ღონისძიებების კასკადი. მათ შორის მართლაც რამდენიმე სიამაყით შემიძლია გამოვყო. მაგალითად წელს ჩვენ მოვახერხეთ და გამოვეხმაურეთ ქართველი კომპოზიტორების საიუბილეო თარიღებს, მაგალითად ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებითი კონცერტი. დირიჟორად მოწვეული გახლდათ მისი შვილი და ორკესტრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონი ვახტანგ მაჭავარიანი და მან ბრწყინვალე კონცერტი ჩაატარა, რამდენიმე ნაწარმოები პირველადაც კი შესრულდა. გამოვეხმაურეთ ნოდარ გაბუნიას საიუბილეო თარიღს და ჩემი აზრით, ნამდვილი დღესასწაული მოვუწყვეთ ქართველ მუსიკის მოყვარულებს, ეს იყო სამი კონცერტი, მოგეხსენებათ გარდა იმისა რომ ნოდარ გაბუნია იყო ბრწყინვალე კომპოზიტორი, ის გახლდათ არაჩვეულებრივი პედაგოგიც. დავუკავშირდით მის მოსწავლეებს, რომლებიც მიმოფანტულნი არიან მთელს მსოფლიოში, ისინი ასრულებდნენ ნაწარმოებებს კლასიკური რეპერტუარიდანაც და ამასთანავე ყოველ დღე სრულდებოდა ნოდარ გაბუნიას ნაწარმოებები. განსაკუთრებული იყო დასასრული, ნატო მეტონიძემ შეისწავლა ნოდარ გაბუნიას ვოკალური ციკლი, რომელშიც სხვათაშორის შესულია ავტორის კინომუსიკა, მუსიკა ჩემი გაორკესტრებით შესრულდა და სწორედ ამით დავასრულეთ. ასევე გამოვეხმაურეთ კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის საიუბილეო თარიღს. იუბილეების აღნიშვნით მინდა მდიდარი ქართული მუსიკიდან ავაჟღეროთ ის, რაც არ გამოგვიმზეურებია ბოლომდე და ასევე პატივი მივაგოთ ჩვენს შესანიშნავ მუსიკოსებს.

**- თუმცა საიუბილეო კონცერტების გარდა, კიდევ იყო ბევრი სხვა მოვლენა...**

- დიახ, თუნდაც ჩვენს მიერ დაარსებული ფესტივალი კონტრაპუნქტი , ეს არის ფესტივალი, რომელიც ივნისში ორი წლის გახდა. მისი პრინციპი შემდეგნაირია: ვარჩევთ ერთ უცხოელ და ერთ ქართველ თანამედროვე მუსკოსს და მათი მუსიკის საღამოებს ვმართავთ. წელს ნოდარ მამისაშვილისა და არვო პიარტის მუსიკით აღინიშნა ჩვენი ფესტივალი, პირვალად კი შნიტკესა და ნასიძის ნაწარმოებები ავაჟღერეთ. წელს ფესტივალისთვის მოვიწვიეთ შვეიცარიელი დირიჟორი საიმონ კამარტინი, ის მანამდე ჩამოსული გახლდათ მაკა ვირსალაძის საავტორო კონცერტისათვის, რომელიც ასევე ჩვენი ცენტრის ორგანიზებული გახლდათ. ამ კონცერტმა მომაგონა ჩვენი კიდევ ერთი ტენდენცია - ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების საავტორო კონცერტების ციკლი.

ასევე გვქონდა კონცერტი ლიანა ისაკაძესთან ერთად. ეს იყო ნამდვილი ფეიერვერკი.

რაც შეეხება ფესტივალებს, კიდევ არის ერთი - აღდგომიდან ამაღლებამდე . წელს მე ვიყავი ამ ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი და ვფიქრობ, ერთობ საინტერესო კონცერტები გამოგვივიდა... ერთ-ერთ კონცერტზე მსმენელის წინაშე წარსდგა საზღვარგარეთ მოღვაწე ჩელისტი გიორგი ხარაძე. მან დათო მუქერიას დირიჟორობით დვორჟაკის კონცერტი დაუკრა. ასევე იყო ქართული მუსიკის კონცერტი, რომელსაც დირიჟორობდა იაპონიიდან ჩვენს მიერ მოწვეული ქართველი დირიჟორი - გოგი ბაბუაძე, მაშინ შევასრულეთ თაქთაქიშვილის, ნასიძის, ცინცაძის ნაწარმოებები, მაშინვე შედგა ჩემი პრემიერაც. წელს დავწერე ნაწარმოები ფორტეპიანოს, სიმებიანისა და ერთი ზარისთვის, სახელწოდებით ინტროვერსია . მისი პრემიერა პირველად იყო კარნეგი ჰოლში , მერე ბერლინის კონცერტჰაუზში და მესამე შესრულება იყო საქართველოში, - მესამე და ჩემთვის ყველაზე საპასუხისმგებლო. საქმე იმაშია, რომ ეს ნაწარმოები დაწერილია დუდი მაზმანიშვილისთვის, მისი თხოვნით, სწორედ ის ასრულებდა მას ყველა ზემოთ ნახსენებ სივრცეში.

სულ ერთი კვირის წინ ედიშერ სავიცკი იყო თბილისში, ლექსო თორაძის კლასის წევრი, თუმცა ახლა უკვე დამუკიდებელი და ცნობილი პიანისტია, მან ჩვენთან დაუკრა შოსტაკოვიჩის საფორტეპიანო კონცერტი.

გვაქვს სხვა ტიპის კონცერტების ციკლიც. ამ კონცერტებისთვის ტრადიციულად ვიწვევთ ერთ ახალგაზრდა ქართველ შემსრულებელს, რომელიც ჩვენს კვარტეტთან ერთად მართავს კონცერტებს.

ამ ყველაფრის გარდა 10-12 კონერტი გვქონდა კიდევ.

**- გამოდის რომ რიგითი კონცერტების გარდა გაქვთ ჩამოყალიბებული სტრატეგია გამოკვეთილი ტენდეციებით: ფესტივალი კონტრაპუნქტი , კვარტეტისა და მოწვეული სოლისტების კონცერტების ციკლი, ახალი თაობის ქართველი კომპოზიტორების საავტორო კონცერტების სერია, საიუბილეო საღამოები...**

- დიახ და ამ ყველაფრით ჩემი მთავარი ამოცანა და ოცნება, როგორც სამხატვრო ხელმძრვანელის არის შესრულებული, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში ჩვენ აღგვედგინა საკონცერტო სეზონი. არ მინდოდა მხოლოდ ერთჯერადი და დროში გაფანტული კონცერტები გვქონოდა. ამას გარდა, გვსურდა ეს სეზონი ყოფილიყო ცოცხალი და მრავალფეროვანი. ამიტომაც დავდეთ პირობა, რომ ყოველ პარასკევს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში იქნებოდა ღონისძიება და პირობა შევასრულეთ, ტრადიცია დავარღვიეთ მხოლოდ ერთ პარასკევს - წითელ პარასკევს...

**P.S. ეროვნული მუსიკალური ცენტრის შემოქმედებითი ცხოვრება მხოლოდ ვარდისფერ ფერებში მოსილი როდია. არის ფინანსური პრობლემები, რომლებიც თავისთავად ბევრ სხვა პრობლემას წარმოაჩენს. ამ თემებზე ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნიკა მამანიშვილი ორშაბათის ნომერში გვეტყვის. ჩვენ მასთან ერთად კიდევ სხვა, ალბათ ბევრად მტკივნელ საკითხს შევეხეთ - იმას, რასაც არაჯანსაღი კონკურენტული გარემო ჰქვია, კონკრეტულად საქართველოში... ეროვნული მუსიკალური ცენტრის წლევანდელი გასტროლები ასევე მომავალი საუბრის თემაა. ორშაბათისთვის დღევანდელი საღამოც, ანუ გია ყანჩელის საავტორო კონცერტიც ბევრისთვის სასიამოვნო წარსული იქნება, რომლის შესახებაც აუცილებლად გიამბობთ, თუმცა გაგონილს ნანახი, ამ შემთხვევაში კი მოსმენილი ჯობს.**


საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
იტალიის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში
**აცხადებენ კონკურსს იტალიის რესპუბლიკის მთავრობის სტიპენდიაზე**

**"პრემია რომა"**

**კონკურსის საფუძველი:**
იტალიის რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაწესებული სტიპენდია **"პრემია რომა".**

**კონკურსის მიზანი:**
ხელი შეუწყოს ერთ ვოკალისტს (საოპერო მომღერალს) და ერთ სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის ექსპერტს კვალიფიკაციის ამაღლებაში იტალიაში სახელოვნებო დაწესებულებაში გავლილი კურსის მეშვეობით.

**კონკურსის პირობები:**
**კონკურსის მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს.**
**იტალიაში სწავლის ხანგრძლივობა - 2010 წლის იანვრიდან 2010 წლის აპრილამდე.**
სტიპენდიის ოდენობა თვეში - 619,75 ევრო.
კონკურსში გამარჯვებულები დეტალურ ინფორმაციას იტალიის კონკრეტული სახელოვნებო დაწესებულების და იტალიაში ცხოვრების პირობების შესახებ შეიტყობენ საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩოში (მის. ჩიტაიას ქ. N3ა. ტელ. 99-64-18)
**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 2009 წლის 22 ივნისამდე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტში უნდა შეავსონ ანკეტა და წარმოადგინონ:** 1 ფოტო 3X4; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, უმაღლესი განათლების დიპლომის ან საშუალო სპეციალური განათლების ატესტატის (საოპერო მომღერლების შემთხვევაში) ასლები; ცნობა სასწავლებლიდან ან სამუშაო ადგილიდან.
აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და იტალიურ ენებზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.
აუცილებელია იტალიური ენის ცოდნა.
კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ, აგრეთვე რეკომენდაციები თავიანთი საქმიანობის, მოღვაწეობის შესახებ და შემოქმედებითი მიღწევების ამსახველი მასალა.

**კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:**
**პირველ ეტაპზე** კომისია განიხილავს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში შემოსულ საბუთებს და შეარჩევს კანდიდატურებს მეორე ეტაპისათვის.
**მეორე ეტაპზე** კომისიის წევრები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში მოუსმენენ და გაესაუბრებიან კონკურსანტებს, მათგან გამოავლენენ 2 გამარჯვებულს.
საოპერო მომღერლების მოსმენა და მათთან გასაუბრება გაიმართება 2009 წლის 30 ივნისს
12.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.
სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის ექსპერტებთან გასაუბრება გაიმართება
2009 წლის 29 ივნისს
12.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ.N4
ტელ. 93.14.88

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს გამოსასვლელი ყოველდღიური სააღლუმე ფორმის და და დაბალყელიანი ფეხსაცმელის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი–** გამოსასვლელი ყოველდღიური სააღლუმე ფორმა და და დაბალყელიანი ფეხსაცმელი

**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით. ფორმის ზომების აღება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, ინდივიდუალურად თითოეულ ოფიცერზე.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 19 ივნისიდან 10 ივლისის 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო სახელმწიფო ხაზინა
ანგ. № 200122900
ბანკის კოდი: 220101222
სახაზინო კოდი: 302006500

გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოსასვლელი ყოველდღიური სააღლუმე ფორმის და და დაბალყელიანი ფეხსაცმელის სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი.

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთ დალუქულ კონვერტში 2009 წლის 10 ივლისის 12 საათიდან 14 ივლისის 12:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით, ზემოთაღნიშნულ მისამართზე, 2009 წლის 14 ივლისის 12:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
4. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
5. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ნატარების შესახებ განცხადების (ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები) შესაბამისად.

განცხადებაში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

**სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, იურიდიულ და საფოსტო მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს, საიდენტიფიკაციო კოდი.**

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა **15 დღით უნდა აჭარბებდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.**

**სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე** პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: გაიოზ მენთეშაშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322.

საქონლის მიწოდების გრაფიკი

| ლოტი № | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1. გამოსასვლელი ყოველდღიური სააღლუმე ფორმა (ინდივიდუალური კერვა) | პიჯაკი და 2 შარვალი | კტი | 389 | ხელშეკრულების დადებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში | ქ. თბილისი |
| | წინაფრიანი ქუდი ყოველდღიური | ცალი | 424 | | |
| | ბერეტი | ცალი | 620 | | |
| | ჯემპრი შალის | ცალი | 711 | | |
| | ლაბადა-გამოსაკრავი დათბუნებით | ცალი | 690 | | |
| | პერანგი მოკლესახელოებით | ცალი | 1 200 | | |
| | პერანგი გრძელსახელოებით | ცალი | 1 310 | | |
| | ჰალსტუხი | ცალი | 1 331 | | |
| | პიჯაკი და 1 შარვალი, 1 ქვედაბოლო (ქალებისთვის) | კტი | 181 | | |
| ლოტი №2. ფეხსაცმელი დაბალყელიანი | ფეხსაცმელი დაბალყელიანი | წყვ | 567 | | |
| | | | | | |

სატენდერო კომისია

## ტენდერი ავტომანქანის შესყიდვაზე
## მომწოდებელი: **საჴეობათა კონსერვაციის ცენტრი "ნაკრესი"**

**სახეობათა კონსერვაციის ცენტრი ნაკრესი** აცხადებს **ტენდერს შემდეგი ავტომანქანის შესყიდვაზე:**

1. მაღალი გამავლობის (4X4) მსუბუქი ავტომანქანა, ახალი; რაოდენობა: 1

მახასიათებლები: მაღალი გამავლობის მუდმივი 4X4
ძრავის მოცულობა: 2400+კუბ.სმ. (სასურველია დიზელის ძრავით)
ტრანსმისია: მექანიკური გადაცემათა კოლოფი, თვლების ბლოკირების ფუნქციით
კარების რაოდენობა: 4/5
საჭე: მარცხნივ
***მნიშვნელოვანი შენიშვნა:*** არსებობს შეზღუდვა მწარმოებელი ქვეყნის მხრივ - ავტომანქანა წარმოებული უნდა იყოს ევროგაერთიანების წევრ ქვეყანაში, ევროგაერთიანების ოფიციალურ კანდიდატ ქვეყანაში, ევროპის ეკონომიკური ზონის ან სპეციალურ სიაში მყოფ ქვეყანაში, რომლის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ინტერნეტ-ლინკზე: http://www.oecd.org/dataoecd/43/51/35832713.pdf.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა. კომპანიის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, საკონტაქტო პირი/ინდმეწარმის სახელი და გვარი;
ბ. ავტომანქანის ტექნიკური სპეციფიკაცია, მწარმოებელი ქვეყანა;
გ. ფასი (განბაჟების ჩათვლით);
დ. მოწოდების ვადები.

პირობები და ანგარიშსწორება:

ა. შერჩევის შემთხვევაში, მომწოდებელმა ინვოისთან ერთად უნდა წარმოადგინოს ოფიციალური წარმოშობის სერთიფიკატი;
ბ. ანგარიშსწორება მოხდება საბანკო გადარიცხვის მეშვეობით ეროვნულ ვალუტაში.

სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა 30 ივნისი. წინადადებები მიიღება ელ.ფოსტით: administrator@nacres.org ან ფაქსით 55 02 08, ან შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. აბაშიძის 12ა
ტელეფონი: 23 37 06; 53 71 25
საკონტაქტო პირი: აჩიკო ეძგვერაძე

# სპორტი

## რა იყიდა "რეალმა" 161 მილიონ ევროდ?

მადრიდის რეალის მიერ რონალდუსა და კაკას შეძენის თემა, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იქნება მსჯელობის საგანი. რაში დახარჯა რეალმა 161 მილიონი ევრო, რამდენად გამართლებულია ამ თანხის გადახდა ორ ფეხბურთელში? ამ კითხვებზე მომავალი სეზონი გაგვცემს პასუხს. მანამდე კი პროგნოზები, პროგნოზები, პროგნოზები... სტატისტიკის მოყვარულებს კომპანია Castrol-მა ორი ვარსკვლავის შედარებითი დახასიათება შესთავაზა. თუ ამ სტატისტიკით ვიხელმძღვანელებთ, რეალს სულაც არ გადაუყრია ფული წყალში. თუ ამ დუეტმა მომავალ სეზონში ისევე ითამაშა, როგორც გასულ სეზონში, სულ მცირე, 34 გოლს შემატებენ რეალს . ეს კი სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ სამეფო კლუბმა უკან ჩამოიტოვოს თავისი მუდმივი კონკურენტი ბარსა .

თუ CASTROL INDEX-ის სტატისტიკით ვიხელმძღვანელებთ, დაზუსტებით ციფრებში შეგვიძლია ვთქვათ, რაში გადაიხადა რეალმა 94 მილიონი ევრო, როდესაც კრიშტიანუ რონალდუს ყიდულობდა. მარტივი არითმეტიკა და მივიღებთ, რომ თუ რონალდუმ მომავალი სეზონი ისეთივე დონეზე ჩაატარა, როგორც 2008-09 წლების სეზონი, რეალს პორტუგალიელის თითო გოლში 3.94 მილიონი ევრო გადაუხდია, თითო შექმნილ მომენტში კი - 1,27. გასულ სეზონში რეალმა 83 გოლი გაიტანა და გაუშვა 52. საკუთარ კარში მიღებული გოლების რაოდენობით რეალს დაახლოებით იგივე მაჩვენებელი აქვს, რაც ბარსელონას . ხოლო თანხა, რომელიც სამეფო კლუბმა რონალდუში გადაიხადა, სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ პერესს ალკმაარის დაცვის ხაზი მთლიანად ეყიდა. ამ გუნდმა სეზონში 23 გოლი გაუშვა, რაც ევროპული ფეხბურთის საუკეთესო მაჩვენებელია.

**მიაღწია თუ არა რონალდუმ ფორმის პიკს, თუ მისი საუკეთესო პერიოდი ჯერ კიდევ წინ არის?**

ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად ფეხბურთელის განვლილი წლების სტატისტიკას გადავხედოთ. ბოლო სამი სეზონის განმავლობაში რონალდუ პრემიერლიგაში მუდამ ბომბარდირთა შორის იყო და ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე ქვევით არ ჩამოსულა. საშუალოდ თამაშში ერთნახევარი გოლი გააქვს, რაც მას პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა რიგში აყენებს. ბოლო სამ სეზონში რონალდუს ანგარიშზეა მანჩესტერის მიერ გატანილი ყველა გოლის 28 პროცენტი.




*ეს ორი ვარსკვლავი ახლა უკვე ერთი გუნდისთვის გაირჯება*

### რონალდუ კაკა შედარებითი მონაცემები 2008-09 წლების სეზონში

| მოქმედება | რონალდუ | კაკა |
|---|---|---|
| ჩატარებული მატჩები | 33 | 31 |
| ძირითადი შემადგენლობა | 31 | 28 |
| ნათამაშები წუთები | 2749 | 2564 |
| გოლები | 18 | 16 |
| დრო გატანილ გოლამდე | 152.72 | 160.25 |
| პენალტით გატანილი გოლები | 4 | 7 |
| საჯარიმოთი გატანილი გოლები | 4 | 0 |
| კარში დარტყმა | 57 | 41 |
| კარისკენ დარტყმა | 50 | 40 |
| დარტყმის სიზუსტე | 53% | 51% |
| საგოლე მომენტების რეალიზაცია | 17% | 20% |
| ბურთთან შეხება | 2244 | 2075 |
| ბურთთან შეხება საშუალოდ თამაშში | 68.0 | 66.9 |
| საგოლე გადაცემა | 6 | 9 |
| საგოლე კომბინაციის დაწყება | 53 | 53 |
| პასები | 1231 | 1266 |
| ზუსტი პასები | 82% | 86% |
| პასი საშუალოდ თამაშში | 166 | 112 |
| პასის სიზუსტე | 16% | 29% |
| დრიბლინგი და გარღვევა | 148 | 143 |
| წარმატებული დრიბლინგი | 39 | 45 |

### კრიშტიანუ რონალდუ ინგლისის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა 2008/2009 სეზონი

| ჩატარებული მატჩები | 44 |
|---|---|
| ძირითადი | 41 |
| ნათამაშები წუთები | 3669 |
| გოლები | 22 |
| დრო გატანილ გოლამდე | 383 |
| თავით გატანილი გოლები | 3 |
| მარჯვენა ფეხით გატანილი გოლები | 15 |
| მარცხენა ფეხით გატანილი გოლები | 4 |
| საკუთარ მოედანზე | 17 |
| სტუმრად | 5 |
| საჯარიმოდან გატანილი გოლები | 14 |
| საჯარიმოს გარედან გატანილი გოლები | 8 |
| პენალტით | 4 |
| ჯარიმით | 5 |
| კარში დარტყმა საშუალოდ ერთ თამაშში | 3.6 |
| დარტყმამდე ნათამაშები დრო | 23 |
| დარტყმის სიზუსტე % | 56 |
| საგოლე მომენტის რეალიზაცია | 14% |
| საგოლე გადაცემა | 8 |
| სახიფათო მომენტი | 74 |
| პასები საშუალოდ მატჩში | 37 |
| პასის სიზუსტე % | 82 |
| დრიბლინგი | 4.8 |
| წარმატებული დრიბლინგი % | 40 |
| ფლანგური გადაცემები საშუალოდ თამაშში | 4.8 |
| ფლანგური გადაცემების სიზუსტე % | 15 |

### კრიშტიანუ რონალდუ პრემიერლიგური კარიერის სტატისტიკა

| მოქმედება/სეზონი | 2003/04 | 2004/05 | 2005/06 | 2006/07 | 2007/08 | 2008/09 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩატარებული მატჩები | 29 | 33 | 33 | 34 | 34 | 33 | 196 |
| ძირითადი | 15 | 25 | 24 | 31 | 31 | 31 | 157 |
| წუთები | 1,545 | 2,421 | 2,284 | 2,79 | 2,747 | 2,749 | 14,536 |
| გოლები | 4 | 5 | 9 | 17 | 31 | 18 | 84 |
| დრო გოლამდე | 386.3 | 484.2 | 253.8 | 164.1 | 88.6 | 152.7 | 173.05 |
| კარში დარტყმა | 20 | 40 | 30 | 67 | 77 | 57 | 291 |
| კარისკენ დარტყმა | 24 | 58 | 50 | 78 | 54 | 50 | 314 |
| დარტყმის სიზუსტე | 45.5% | 40.8% | 37.5% | 46.2% | 58.8% | 53.3% | 48.1% |
| რეალიზაცია | 9.1% | 5.1% | 11.3% | 11.7% | 23.7% | 16.8% | 13.9% |
| საგოლე გადაცემა | 4 | 4 | 6 | 8 | 6 | 6 | 34 |
| სახიფათო მომენტი | 28 | 46 | 42 | 55 | 46 | 53 | 270 |

### რუსეთის ნაკრებში ორი ქართველი მორაგბე აიყვანეს

რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში საინტერესო სიახლეებია - რუმინეთში ირბ-ის "ნაციათა თასზე", რომელშიც ადრე საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა, "დათვებმა" ორი ქართველი მორაგბე წაიყვანეს, რომლებიც რუსეთის ჩემპიონატში პენზას "იმპერიაში" თამაშობენ. ესენი არიან: შერკინების 8 ნომერი გიორგი მინაძე და შერკინების ბურჯი კარლო მაღლაკელიძე (მათ წელს რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს). რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი ნერუში დარწმუნებულია, რომ ქართველ მორაგბეებს შეუძლიათ მისი გუნდის შერკინების გაძლიერება.

### მეტრეველმა "მონტეპასკისთან" ერთად იტალიის ჩემპიონატი მოიგო

დასრულდა იტალიის საკალათბურთო ჩემპიონატი, რომელშიც გამარჯვება სიენას მონტეპასკიმ იზეიმა. ფინალურ დაპირისპირებაში მონტეპასკიმ 4:0 დამარცხა მილანური არმანი ჯინსი .

სიენური გუნდის ღირსებას იცავს ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი ნიკა მეტრეველიც, რომელსაც, მართალია, გუნდის გაჩემპიონებაში დიდი წვლილი არ მიუძვის, მაგრამ ოქროს მედალს თანაგუნდელებთან ერთად დაეუფლა. სერიის მე-4 მატჩი მილანში გაიმართა და სიენელებმა 82:47 გაიმარჯვეს. სტუმართა რიგებში საუკეთესო იყო კშიშტოფ ლავრინოვიჩი, რომელმაც 15 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

11 ქულასა და 6 პასს გამორჩა ამერიკელი ტერელ მაკინტაირი, რომელიც ფინალების უძვირფასეს მოთამაშედ (MVP) დასახელდა.

### კალაძემ ვარჯიში დაიწყო

სამი თვის წინ საქართველოს ნაკრებისა და მილანის მცველს კახა კალაძეს მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს, რის გამოც მან სეზონის მეორე ნახევარი თითქმის მთლიანად გამოტოვა.

კალაძის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, კახამ სარეაბილიტაციო კურსი კარგად გაიარა და ვარჯიში დაიწყო.

მას შემდეგ, რაც პაოლო მალდინიმ კარიერა დაასრულა, მილანის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ აღნიშნა, რომ მომავალ სეზონში დაცვის ცენტრში კალაძე-ნესტას წყვილზე ამყარებს იმედს.

### დიეგო მარადონა: "ის მომდევნო მსოფლიო პირველობის ვარსკვლავი იქნება"

დიეგო მარადონას ფავორიტისთვის, 18 წლის ნახევარმცველ ფრანკო ცუკულინისთვის, რომელიც არგენტინის აველიანედას რასინგის რიგებში ასპარეზობს, ჰოფენჰაიმი და ბრემენის ვერდერი იბრძვიან. ბილდის ინფორმაციით, ჰოფენჰაიმი , რომელმაც ცუკულინისთვის ნადირობა უფრო ადრე დაიწყო, უფრო მომგებიან პოზიციაშია და შეიძლება უახლოეს დღეებში ტრანსფერიც გაიჩარხოს. ყოველ შემთხვევაში, კლუბის მილიარდერი მფლობელი დიტმარ ჰოპი ამაში დარწმუნებულია. ცუკულინის ევროპაში გადასვლას და ტალანტის დახვეწას თავად მარადონაც უჭერს მხარს. ის მომდევნო მსოფლიო პირველობის ვარსკვლავი იქნება, მაგრამ რომელიმე ზელიგაში თამაში სჭირდება, რადგან ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი, - ამბობს დიეგო. მარადონამ ფრანკოს არგენტინის ეროვნული ნაკრების მაისურიც მოარგო პანამასთან მატჩში. თუ "ჰოფენჰაიმმა" ცუკულინი მოიპოვა, ის კლუბისთვის მეორე შენაძენი იქნება 22 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველის მაიკოზულის შემდეგ, რომელთანაც კლუბმა 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### ლორიას ისრაელში იწვევენ

ყაზახეთის ეროვნული ნაკრების ქართველი მეკარე დავით ლორია, რომელიც ნალჩიკის სპარტაკში ირიცხება, შესაძლოა ტელ-ავივის ჰაპოელში გადავიდეს. ამ ინფორმაციას პოპულარული რუსული სპორტული გამოცემა სპორტ ექსპრესი ავრცელებს. ჰაპოელი ლორიას შეძენით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ძირითადი შემადგენლობის მეკარემ, ნიგერიელმა ვისენტე ანიემამ გუნდის დატოვება გადაწყვიტა. ტელ-ავივის კლუბში იმედი აქვთ, რომ უახლოეს ხანში 27 წლის მეკარე მათ შეთავაზებას დადებითად უპასუხებს. ლორიას ნალჩიკურ გუნდში სათამაშო პრაქტიკა თითქმის არა აქვს. მიმდინარე სეზონში მან სპარტაკის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მატჩი გამართა.

## ამბროზინი ბოლომდე ˝მილანის˝ ერთგული იქნება

მილანის ნახევარმცველი მასიმო ამბროზინი როსონერიში აპირებს კარიერის დასრულებას. უახლოეს დღეებში ფეხბურთელი კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

ადრიანო გალიანის ამ დღეებში შევხვდები და ვფიქრობ, მასიმოს კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებით უთანხმოება არ წარმოიშობა. ამ საკითხში პრობლემა ან გაუგებრობა არასოდეს შეგვქმნია. ამბროზინი გუნდში კარიერის ბოლომდე დარჩება, რადგან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული მილანთან . გარდა ამისა, გუნდიდან მალდინის წასვლის შემდეგ მას კაპიტნობა სურს. იგი შეეცდება, რომ პაოლოს ღირსეულ მემკვიდრედ იქცეს, - ამბობს ამბროზინის აგენტი.

## საიუბილეო დაპირისპირება

გუნდები აგრძელებენ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას და სპარინგმატჩებსაც გეგმავენ.

უეფას ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 2010 წლის 3 მარტს პარიზის სტად დე ფრანსეზე საფრანგეთისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს ამ გუნდების ისტორიაში 30-ე მატჩია. ბოლოს ესპანელები და ფრანგები მალაგაში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ მასპინძლებმა 1:0 გაიმარჯვეს.

## ˝ბოკა˝ მწვრთნელის გარეშე დარჩა

არგენტინული გრანდის ბოკა ხუნიორსის ხელმძღვანელებმა გუნდის არადამაკმაყოფილებელი თამაშის გამო თანამდებობიდან დაითხოვეს ბოკას მთავარი მწვრთნელი კარლოს ისხია.

მაისში, როდესაც ბოკა კოპა ლიბერტადორესის თასის გათამაშებას 1/8-ფინალიდან გამოეთიშა, ისხიამ განაცხადა, რომ გუნდიდან წავიდოდა, მაგრამ სეზონის ბოლომდე სურდა მუშაობა. მაშინ კლუბის თავკაცებმა მისი განცხადება არასწორად გაიგეს და გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ისხიამ პოსტი დატოვა. თუმცა, მან მუშაობა გააგრძელა და გასულ კვირას ბოკა არგენტინის ჩემპიონატში რასინგთან 0:3 დამარცხდა. ამის შემდეგ კლუბმა და ისხიამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყვიტეს კონტრაქტი, რომელიც დეკემბრამდე იყო დადებული.

## მბია ˝ევერტონში˝?

ფრანგულ რენში მოთამაშე სტეფან მბია კლუბის დატოვებას და ევერტონში გადასვლას აპირებს. ლივერპულური კლუბი 23 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს იხდის, ფრანგები კი 2 მილიონით მეტს ითხოვენ.

ევერტონის ინტერესის შესახებ გასულ წელს შევიტყვე და მას შემდეგ მოვლენათა განვითარებას ყურადღებით ვაკვირდებოდი. რენის ხელმძღვანელობას ინგლისში გადაბარგების სურვილი გავაცანი და ახლა მათი ხელშეწყობის იმედი მაქვს , - აღნიშნა მბიამ.

## ვალდესი უარყოფს

ამას წინათ გავრცელდა ჭორი, თითქოს კატალონიური ბარსელონას მეკარე ვიქტორ ვალდესი მანჩესტერ იუნაიტედში გადადის. ეს ჭორი თავად ვალდესმა უარყო.

მანჩესტერისგან არავითარი წინადადება არ მიგვიღია, თუმცა, ასეც რომ ყოფილიყო, მის განხილვას არ დავიწყებდით. ვალდესი საკუთარ მომავალს ბარსელონაში ხედავს და ამ მიმართულებით უახლოეს პერიოდში მკაფიო ნაბიჯებს გადავდგამთ , - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა გინეს კარვახალმა.

## რობინიო ˝სიტიში˝ რჩება

მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიის ნაკრებისა და მანჩესტერ სიტის ფორვარდი ესპანეთში დაბრუნებასა და ბარსელონაში თამაშზე ოცნებობს, ინგლისური გუნდის ხელმძღვანელები ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებენ.

ერთ-ერთი ესპანური ტელეარხის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, იჯარის წესით ერთი წლის განმავლობაში რობინიოს დაქირავება კატალონურ ბარსელონას უნდა.

ეს ინფორმაცია სრულიად უსაფუძვლოა. რობინიო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ძირითადი წევრია. ასე რომ, მისი ნებისმიერი სახით სხვა გუნდში გადასვლაზე - იჯარა იქნება ეს თუ გაყიდვა - საუბარიც არ შეიძლება იყოს , - ამბობს მანჩესტერ სიტის აღმასრულებელი დირექტორი გარი კუკი.

# რიბერის ჭერია



რიბერი რეალს შეუერთდება

კაკა, რონალდუ. ვინ იქნება შემდეგი? ერთხანს პერესის მესამე შენაძენი დავიდ ვილია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვალენსიასთან მოლაპარაკება ჩაიშალა და, თუ უცხოურ მედიას დავუჯერებთ, ახლა პერესის მთავარი სამიზნე მიუნხენის ბაიერნისა და საფრანგეთის ეროვნული ნაკრების შემტევი ნახევარმცველი ფრანკ რიბერია.

მიუნხენელები რიბერის გაყიდვას არ გეგმავენ. ყოველ შემთხვევაში, გერმანული კლუბის შტაბში ასეთი განცხადებები კეთდება.

ოთხშაბათს კარლ ჰაინც რუმენიგემ ბაიერნის გამგეობის დანარჩენ წევრებთან (მენეჯერ ული ჰიონესთან და მეჭურჭლეთუხუცეს კარლ ჰოფნერთან) ერთად გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც წერია:

ფრანკ რიბერი არ იყიდება!

განცხადებაში ასევე უარყოფილია ის ჭორიც, რომლის მიხედვით თითქოს კლუბის სამეთვალყურეო საბჭომ რიბერის რეალში გადასასვლელად მწვანე შუქი აუნთო:

საბჭოს არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია ფრანკ რიბერის გაყიდვასთან დაკავშირებით. გამგეობის წესდების თანახმად, ამა თუ იმ მოთამაშის ტრანსფერზე საბჭოს ნებართვა საერთოდ არ არის საჭირო.

თუმცა ეს ოფიციალური განცხადებებია. არაოფიციალურად კი ცნობილი გახდა, რომ რიბერი რეალში გადავა. სანამ რეკორდმაისტერის ოფიციალური განცხადება გამოქვეყნდებოდა, ჟურნალისტებთან კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა ისაუბრა: რიბერი კაკაზე ძლიერია და თუ კაკაში 68 მილიონი ევრო გადაიხადეს, კეთილ ინებონ და რიბერიში მეტი გადაიხადონ .

მოკლედ, ყველაფერი, რასაც ბაიერნის მესვეურები აკეთებენ, უფრო ფასის აწევას ჰგავს, ვიდრე 26 წლის ფრანგი ფეხბურთელის შენარჩუნების მცდელობას. თანაც, როგორ გინდა შეინარჩუნო ფეხბურთელი, რომელმაც არაერთხელ თქვა, რომ კლუბის დატოვება და რომელიმე ესპანურ გრანდში გადასვლა უნდა.

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დიდი დროა დარჩენილი. 31 აგვისტომდე ორი კლუბი ალბათ შეთანხმდება. ასევე ფიქრობს რეალის გერმანელი მცველი მეტცელდერიც, რომელმაც მედიასთან საუბარში აღნიშნა:

პერესს ახალი მოთამაშეების შესაძენად 300 მილიონი აქვს და რონალდუსა და კაკას ტრანსფერების შემდეგ, რასაც 161 მილიონი (94+67) მოხმარდა, ამ თანხიდან კიდევ ბევრია დარჩენილი. პერესი თუ რამეს მოინდომებს, მიაღწევს კიდეც.

# ოუენი საკუთარ თავს ინტერნეტით ყიდის

სულ რაღაც 10 წლის წინ მაიკლ ოუენი მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდად ითვლებოდა. მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ათ წელიწადში საქმე იქამდე მივიდოდა, რომ მაიკლს კლუბის საპოვნელად ორიგინალური მეთოდის მოძებნა დასჭირდებოდა.

გასული სეზონი თავის დროზე ინგლისური ფეხბურთის ოქროს ბიჭუნად შერაცხულმა მაიკლ ოუენმა ნიუკასლში გაატარა. კაჭკაჭებმა სეზონი ჩააგდეს და პრემიერლიგა დატოვეს. ცხადია, ოუენს დაბალ დივიზიონში თამაში არ სურს და ახალ კლუბში გადასვლას ლამობს, მაგრამ ერთია თავად მისი სურვილი და მეორე - კლუბების სატრანსფერო საქმიანობა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მაიკლი არავის სჭირდება.

29 წლის ფორვარდი კარგა ხანს ელოდა ხელსაყრელ შეთავაზებას, მაგრამ იმის გამო, რომ ჯერჯერობით არავის მიუმართავს, საკუთარ მომავალზე თავად დაიწყო ზრუნვა. მაიკლმა საკუთარი დოსიე შექმნა და ახლა წამყვანი ევროპული კლუბების ელექტრონულ ფოსტებზე გზავნის - იქნებ ვინმე დააინტერესოს.

ოუენის პრეზენტაცია კომპანია Wasserman Media Group-მა მოამზადა. ამ კომპანიას წამყვანი პოზიცია უკავია საფეხბურთო აგენტების ბაზარზე.

სეზონის დასრულებიდან ერთ კვირაში გავაკეთეთ მაიკლის ფაილი. ამ პრეზენტაციაში კლუბის მესვეურები ნახავენ ყველაფერს, რაც მათ ოუენზე აინტერესებთ , - აცხადებს კომპანიის ხელმძღვანელი სემ რაში.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ოუენით რამდენიმე უცხოური კლუბი დაინტერესდა, თუმცა თავად ფეხბურთელს ინგლისში სურს კარიერის გაგრძელება.

ინგლისური მედია კი წერს, რომ პრემიერლიგის არც ერთ კლუბს არ სურს ოუენის გადაბირება. მეტიც, ოუენით არც შოტლანდიური და ირლანდიური კლუბები ინტერესდებიან.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც შესაძლოა ოუენის შეძენაზე ამბობდნენ უარს, ფეხბურთელის მაღალი ხელფასია. ამავე დროს ცნობილია, რომ ოუენი ხშირად იღებს ტრავმებს და, ცხადია, კლუბებს ამისიც ეშინიათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაიკლმა ვერაფრით ვერ მოახერხა ჩვეული ფორმის აღდგენა და ახლა ძნელი წარმოსადგენია, რომ ის რომელიმე გრანდმა მიიწვიოს. ინგლისური დიდი ოთხეულის კლუბებიდან მაიკლს არავინ მიიწვევს. რჩება მეორე ეშელონები, თუმცა ჯერჯერობით ოუენისადმი ინტერესი არც შედარებით მოკრძალებულ კლუბებს გამოუჩენიათ.

# ჩინეთში, მეკარეების საძებნელად




მიუნხენის ბაიერნის გერმანელმა მეკარემ ოლივერ კანმა კარიერა შარშან დაასრულა. მაგრამ, ეტყობა, ფეხბურთელი დიდხანს უსაქმოდ ვერ ჩერდება და გადაწყვიტა ტელეწამყვანის კარიერა დაიწყოს. კანი რეალურ შოუს წარუძღვება და

ნიჭიერი ბავშვების, უფრო სწორად, ნიჭიერი მეკარეების მოძებნას ჩინეთში შეუდგება.

Heilongjiang TV-ის ეთერში 17-24 წლის ახალგაზრდები, ორი გოგონას ჩათვლით, თავის ნიჭს ლეგენდარულ მეკარესთან ერთად გამოცდიან. შოუს ფორმატი ცნობილია - ათნაწილიანი გადაღების შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულს საშუალება ექნება გერმანაში უკეთ დაეუფლოს პროფესიას და საკუთარი თამაშის დონით ლეგენდარულ მეკარეს გაუტოლდეს. შოუს პირველი ნაწილი ოთხშაბათ საღამოს გავა ეთერში და, როგორც წამყვანმა განაცხადა, ეთერში ობიექტურობას დაიცავს.

ჩვენ არ გვინდოდა მოგვეწყო არაფრისმომცემი და უაზრო შერჩევა. ასევე არ მინდა ისე გამომივიდეს, რომ ვიღაც უნიჭო შევაქო იმის გამო, რომ ასეა საჭირო , - განაცხადა კანმა.

# თორმეტი ექვმიტანილი

სულ ცოტაც და, საჩოგბურთო სამყარო უიმბლდონის ტურნირს მიაპყრობს მზერას. მანამდე კი ჩოგბურთელები სეზონის მესამე დიდი სლემის ტურნირისთვის ემზადებიან. ATP-ს ხელმძღვანელობას კი, როგორც ჩანს, ბლომად აქვს საქმე. ჩაწყობილ თამაშებზე აქამდეც ბევრს საუბრობდნენ, თუმცა ჯერჯერობით თითქმის ვერავის დაუმტკიცეს თამაშის ჩაშვება . ახლა კი ახალი სკანდალი აგორდა. ბრიტანულ გამოცემა The Independent-ის ცნობით, ATP-ს ხელმძღვანელები იძიებენ 12 ჩოგბურთელის საქმეს, რომლებიც გარიგებული მატჩების გამართვაში არიან ექვმიტანილი. ჩოგბურთელების გვარები არ სახელდება, თუმცა ცნობილია, რომ 12 ჩოგბურთელში არიან რუსები, იტალიელები და ესპანელები.

ბრიტანული გამოცემის თქმით, ATP-ს მესვეურები მომავალშიც დააკვირდებიან ექვმიტანილებს და თუ მათი მონაწილეობით კვლავ შედგა განმეორებითი მატჩი, საქმეს ოფიციალურ მსვლელობას მისცემენ.

თუ გავითვალისწინებთ, რა თანხები იდებოდა ტოტალიზატორებში ამ ჩოგბურთელების თამაშებზე, გულუბრყვილობა იქნება იმის დაჯერება, რომ



ჩოგბურთის მამებმა ჩაწყობილი თამაშების წინააღმდეგ გაილაშქრეს

ისინი სუფთად თამაშობენ , - წერს The Independent-ი სანდო წყაროზე დაყრდნობით.

ამავე წყაროს მიხედვით, ამ 12 ჩოგბურთელიდან ზოგიერთი გარიგებულ თამაშში პირველად არის შემჩნეული, ზოგი კი აქამდეც ყოფილა ეჭვქვეშ.

ATP-ს გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ დიდი ფული ამა თუ იმ ჩოგბურთელის თამაშზე რუსულ და იტალიურ ტოტალიზატორებში იდება.

ჩაშვებულ თამაშებზე მხოლოდ The Independent-ი როდი საუბრობს. 17 ივნისს The Times-მა დაწერა, რომ ATP-ს ხელმძღვანელობამ ეჭვი შეიტანა ოსკარ ერნანდესისა და დანიელ კელერის მატჩის სისუფთავეში. ამ ჩოგბურთელების მატჩი 15 ივნისს ჰოლანდიურ ჰერტოგენბოსეში გაიმართა. ერნანდესის გამარჯვებაზე ტოტალიზატორში დიდი ფული დაიდო. ამ ტურნირზე The Independent-იც წერს. როგორც ირკვევა, 17 ივნისს ტრიბუნებზე დააკავეს რუსეთის მოქალაქე, რომელიც ნოუტბუკით აკეთებდა ფსონებს თამაშის მსვლელობისას, ეს კი ATP-ს კანონებით აკრძალულია.

ბრიტანულ მედიაში ნათქვამია, რომ, ზემოხსენებული მატჩის გარდა, 2009 წელს ATP-ს მესვეურები კიდევ ორი თამაშის შედეგს აყენებენ ეჭვქვეშ. კერძოდ, მაისში ავსტრიის ქალაქ კიცბიუელში გამართულ მატჩს, რომლის მონაწილეთა ვინაობა არ სახელდება. მეორე მატჩი კი აპრილში მონტე-კარლოში გაიმართა ჟან-რენე ლინარსა და კრისტოფ როხუსს შორის. ლინარმა როხუსი ორ სეტში დაამარცხა. მატჩის შედეგი იმდენად საეჭვოდ ჩაითვალა, რომ ტოტალიზატორებმა თანხის გაცემაზე უარი თქვეს.

ყველაზე ხმაურიანი გამოძიება კი 2007 წლით თარიღდება, როდესაც პოლონეთის ქალაქ სოპოტში რუსი ნიკოლაი დავიდენკო არგენტინელ მარტინ ვასალო არგუელოს დანებდა. დავიდენკომ ტრავმა მოიმიზეზა, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ რუსმა თამაში ჩაუშვა . გამოძიებას შედეგი არ მოჰყოლია - დავიდენკოს ბრალეულობა ვერ დამტკიცდა.

# სერია A-დან გადასაღებ მოედნამდე

ცნობილმა იტალიელმა მოდელმა ელენა ბაროლომ, სამოდელო ბიზნესის გარდა, გადასაღებ მოედანზე მოსინჯა ძალები. სერიალ ჩენტოვეტრინეში ელენა ნიჭიერი მსახიობის ამპლუაში წარდგა მაყურებლის წინაშე. თუმცა ელენა, პროფესიული სიახლეების გარდა, სერია -ს ფეხბურთელებთან ახლო ურთიერთობის გამოც ხვდება საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მაგრამ, ეტყობა, ქერა ლამაზმანი იმდენად დაიღალა ასეთი ყურადღებით, რომ პრესასთან გულახდილი საუბარი მოუნდა.

ხალხში ტრიალებს აზრი, რომ მხოლოდ გარეგნობის ხარჯზე შეიძლება კარგი სამსახიობო კარიე-



რა აიწყო. მაგრამ ასე არ არის. თუ არ იშრომებ, არაფერი გამოვა, - განაცხადა ახალი პროფესიით აღფრთოვანებულმა მოდელმა და არც საკუთარი კოლეგების ქება დავიწყებია, - მე უდიდესი გამოცდილება შევიძინე ამ ხალხთან ურთიერთობით. არც ერთ მსახიობს არ გადმოუხედავს ჩემთვის მაღლიდან. ეს მაშინ, როდესაც მათ, ჩემთან შედარებით, გაცილებით სერიოზული სტატუსი აქვთ.

თუმცა, მცირე შანსია, ელენას ყოფილ საყვარლებს, მოდელის გარეგნობის გარდა, მისი დაფარული ნიჭი დაენახათ. ყვითელი პრესა დიდხანს საუბრობდა რობერტო სტელონესთან ბაროლოს შესაძლო ქორწინებაზე. თუმცა ქორწილი არ შედგა. ვერც სტელონეზე პოპულარულ ინძაგისთან გაძლო ელენამ დიდხანს. საინტერესოა, დააფასებს თუ არა ახლად აღმოჩენილ ნიჭს ელენას მორიგი საყვარელი.

# მის-სპორტის ტიტულისთვის

მის-სპორტი საქართველო 2009 მხატვრულად ტანმოვარჯიშე მზევინარ სამუკაშვილია.

17 ივნისს რესტორან მონოპოლში ჩატარებულ სილამაზის კონკურსში მონაწილეობა მიიღო 25-მა ლამაზმანმა, რომლებიც პარალელურად აქტიურ სპორტს მისდევენ (ან მისდევდნენ).

ღონისძიებას ილუზიონისტი გია ფარადაშვილი გაუძღვა. მაყურებლის საზეიმო განწყობის ამაღლებაზე იზრუნეს ქართული ესტრადის ვარსკვლავმა ანრი ჯოხაძემ და ბევრისთვის უცნობმა ნიჭიერმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა. კონკურსანტები ძირითადად ქართველი სპორტსმენებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ შეაფასა. ჟიურის თავმჯდომარე და კონკურსის ინიციატორი იყო საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია, წევრები - ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლელა მესხი, ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ფიქრია ფანქველაშვილი, ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-



პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი სამყურაშვილი.

მონაწილეთა შორის იყვნენ ტანმოვარჯიშეები, მოჭადრაკეები, კალათბურთელები, ფრენბურთელები, სპორტული ცეკვისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბეისბოლისა და ავტორბოლის წარმომადგენლები.

პირველი ეტაპის შემდეგ მის-სპორტის ტიტულისთვის თორმეტმა გოგონამ გააგრძელა ბრძოლა, მეორე ეტაპზე კი გამოვლინდა ის ექვსი ფინალისტი, რომლებიც სხვადასხვა ნომინაციის გამარჯვებულებად გამოცხადდნენ.

თათია დოლიძე (სპორტული ცეკვები) მის-პრემიერი გახდა, ქეთი კაციტაძე (მხატვრული ტანვარჯიში) - მის-გრაცია , ანი კირაკოსიანი (სპორტული ცეკვები) - მის-სიმპათია , ქეთი ხატიაშვილი (მხატვრული ტანვარჯიში) - მის-სიმპათია .

ბოლოს სცენაზე დარჩა გრან-პრისა და პირველი ადგილის მფლობელი ორი გოგონა - მშვილდოსანი თაკო შუბითიძე და მხატვრულად ტანმოვარჯიშე მზევინარ სამუკაშვილი. ჟიურის გადაწყვეტილებით, ტანმოვარჯიშის გულშემატკივრებმა გაიხარეს. ეს აღიარება ჩემთვის უდიდესი პატივია. ბედნიერი ვარ, რომ ამდენ ლამაზ გოგონაში მე ამირჩიეს. შესარჩევი ეტაპიდან ფინალამდე უდიდესი კონკურენცია იყო და გამარჯვება ნებისმიერს შეეძლო. მადლობა კონკურსის ორგანიზატორებს და აბსოლუტურად ყველას, ვინც მხარი დამიჭირა , - ჟიურის გადაწყვეტილებით კმაყოფილი იყო მზევინარ სამუკაშვილი.

მის-სპორტი საქართველო პირველად შარშან ჩატარდა. მაშინ საუკეთესო სპორტსმენი ბაკურიანში აირჩიეს. ორგანიზატორების თქმით, კონკურსი ტრადიციული გახდება და ყოველწლიურად გაიმართება.

### მასკარა ˝კატანიას˝ ერთგულია

იტალიური კატანიას ფორვარდი ჯუზეპე მასკარა კლუბის მიტოვებას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ მის გადაბირებას ინგლისური მანჩესტერ სიტი და ესპანელი ვილიარეალი ცდილობენ.

სიტისა და ვილიარეალის წარმომადგენლებთან კონტაქტი არ მქონია, თუმცა, მათი ინტერესის შესახებ ჩემთვისაც ცნობილია. მიუხედავად ამისა, ჩემთვის პრიორიტეტი კატანიაში დარჩენაა , - აღნიშნა Channel 4-თან საუბარში 30 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც გასულ სეზონში 34 მატჩში 12 გოლი გაიტანა.

### როსი 40 მილიონად შეფასდა

მარჩელო ლიპის მიერ იტალიური ფეხბურთის იმედად შერაცხული ჯუზეპე როსი ესპანურმა ვილიარეალმა 40 მილიონ ევროდ შეაფასა.

ვილიარეალის წარმომადგენელმა ხოსე მანუელ ლიანესამ როსის თაობაზე განაცხადა:

ვფიქრობ, ევროპაში ბევრი კლუბი არ მოიძებნება, რომელიც როსის სატრანსფერო ფასის გადახდას შეძლებს. მისი ოსტატობა, პროგრესი და ასაკი მაღალი კომპენსაციის საწინდარია. ვილიარეალი მის გაყიდვას არ აპირებს. მოლაპარაკების მაგიდას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუსხდებით, თუ ვინმე 40 მილიონ ევროს გადაიხდის .

22 წლის იტალიელი ფორვარდი ვილიარეალში 2007 წლიდან გამოდის. გასულ სეზონში ფეხბურთელმა საუცხოო თამაში აჩვენა და ახლა იტალიის ნაკრებშიც კარგად გამოიყურება. როსის შეძენის მსურველი ბევრია, თავად ფეხბურთელი კი მილანში გადასვლაზე ოცნებობს.

### ˝რომას˝ პოგატეცის შეძენა სურს

ინგლისური მიდლსბროს ავსტრიელი კაპიტანი ემანუელ პოგატეცი შესაძლოა იტალიურ რომაში გადავიდეს. პრემიერლიგიდან გავარდნილ მიდლსბროს წამყვანი ფეხბურთელები ტოვებენ და მათ შორისაა პოგატეციც.

გასულ კვირაში რომასთან მოლაპარაკება გვქონდა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა მოიცდის, ვიდრე პოგატეცი ტრავმას მოიშუშებს. რომაელებს ტრავმირებული მოთამაშის შეძენა არ სურთ, - აღნიშნა ავსტრიელი ფეხბურთელის აგენტმა იურგენ ვერნერმა.

### დი ვაიო ˝ბოლონიაში˝ რჩება

იტალიური ბოლონიას თავდამსხმელი მარკო დი ვაიო უახლოეს მომავალში კლუბთან ხელშეკრულებას გააგრძელებს.

